F 149
197

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

1
1976

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ი. სამსონაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგვილოცნია

სიმონ შამურიანი

მოგვილოცნია:
მოვიდა
წელი ნათელი, ახალი,
ბექებზე უსხედს მტრედები,
წილი აქვს მზესთან ნაყარი.

მოვიდა მაცნე
ცისფერად
გაცისკრებული დღეების —
წინსვლის, შენების,
ხალისის,
კაშკაშა სიმაღლეების;

ჩვენს უსაყვარლეს
მამულში
ამთაგორება დოვლათის,
სილაღე ჩაის,
ვენახის,
ხვავი ქართული
ფოლადის;

მეტი სინათლე
მთა-ბარად,
გაქრობა ჩრდილის,
ჭაობის,
დიდება
ავთან მებრძოლის
გმირული გამბედაობის.

კარგებო,
თქვენი წადილიც
ისმის ალმების ფრიალში:
სწავლაში —
მხოლოდ ფრიადი!
შრომაში —
მხოლოდ ფრიადი!



წინ მიგიძღვებათ შუქივით
სიბრძნე მაღალი აზრების;
გვჭერა —
საქვეყნო საქმისთვის
უფრორე დაირაზმებით.

სკოლაში, ზვარში, ყანაში
თავს ისახელებთ ყველანი,
სამშობლოს ძახილს შეერთვის
თქვენი გულების ძგერანი,

რომ ლიბო დიდი მომავლის
გახდეს დუღაბზე მაგარი,
აღზევდეს, ცამდე აღზევდეს
მამათა ნაამაგარი.

მაშ, დაე, ფიფქი რამდენიც
დღეს მშობლიურ ცას
მოსწყდება, —
აგიხდეთ,
ყველას აგიხდეთ
ფიქრი,
სურვილი,
ოცნება!

დაე, ეს წელიც,
ვით წინა,
იყოს მშვიდობის მთესველი.
მოგვილოცნია, ბავშვებო,
ცხრაას სამოცდათექვსმეტი!

მხატვარი შ. ჭავჭავაძე.

F4024
ქ. მარქსის სახ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ლენინი — ადამიანი და ამხანაგი

ნ. სემაშკო

## ლენინური ზრუნვა ადამიანზე

მე, როგორც ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარს, ვლადიმერ ილიას ძე ხშირად მომმართავდა თხოვნით, დამეკმაყოფილებინა ამა თუ იმ პარტიული ამხანაგის, ზოგჯერ კი რომელიმე კერძო პირის საჭიროება. უმეტესად ტელეფონით ან შეხვედრებისას მომმართავდა, ხანდახან წერილობითაც. სამწუხაროდ, იმდენად წინდაუხედავი ვიყავი, რომ არ შევინახე ყველა ის წერილი. ეს წერილები საუკეთესო ილუსტრაცია იქნებოდა ვლადიმერ ილიას ძის შესანიშნავი სულიერი თვისებებისა, მისი უნარისა — ჩასწვდომოდა ადამიანის ყველაზე ინტიმურ საჭიროებებს.

... არ გავიდოდა დღე, რომ არ შეემჩნია ვინმეს გასაჭირი და დახმარების ხელი არ გაეწოდებინა. ტელეფონით ლაპარაკის ან შეხვედრების დროს დაუფარავად ვაგრძნობინებდი ხოლმე ჩემს განცვიფრებას იმის თაობაზე, თუ როგორ ახერხებდა სახელმწიფო და მსოფლიო საკითხებით ესოდენ დატვირთული ადამიანი, ასეთ წვრილმანებში ჩაწვდომას, და დაბეჯითებით ვთხოვდი, განთავისუფლებულიყო ასეთი წვრილმანი საქმეების მოგვარებისაგან.

აი, ერთხელ, მაგალითად, ვლადიმერ ილიას ძეს სწვევია გლეხი ჩეკუნოვი (სწორედ ის, ხშირად რომ გამოდიოდა სიტყვით საბჭოების ყრილობებზე). ვლადიმერ ილიას ძეს ყურადღებიდან არ გამოჰპარვია ის ამბავი, რომ ჩეკუნოვს სათვალე სჭირდებოდა, და აი რასა მწერს:

„ნიკოლოზ ალექსანდროვიჩ! ჩემთან იმყოფება ამხ. ივანე ათანასეს ძე ჩეკუნოვი, ძალზე საინტერესო მშრომელი გლეხი, რომელიც კომუნიზმის საფუძვლებს თავისებურ აგიტაციას უწევს. მას სათვალე დაუკარგავს... ხომ არ შეგიძლიათ დაეხმაროთ კარგი სათვალის შოვნაში? ძალიან გთხოვთ დაეხმაროთ და სთხოვოთ თქვენს მდივანს, მაცნობოს, მოახერხეთ თუ არა ეს“.

მთხოვდა აგრეთვე კრემლში მოგვეწყო ერთ-ერთი მოწყალების და, დავხმარებოდით ძველ რევოლუციონერ ქალს საზღვარგარეთ წასვლაში, იქ ოთახის შოვნაში და ა. შ.

იმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ვლადიმერ ილიას ძის უახლოესი ამხანაგები, როგორი მუდმივი ყურადღებით იყვნენ გარემოსილნი მისგან. ბარათებსა და მიმართვებში წამდაუწუმ გვხვდება იმ ამხანაგთა სახელები, რომლებიც მკურნალობას საჭიროებდნენ.

ვლადიმერ ილიას ძე, ჩვეულებრივ, ჩემგან ზუსტ დასკვნას მოითხოვდა. ამ დასკვნას ცენტრალურ კომიტეტში გაატარებდა ხოლმე, რის შემდეგაც ვერც ერთი ამხანაგი მოუცლელობის მომიზეზებით ველარ ამბობდა მკურნალობაზე უარს.

მაგრამ ლენინი ამხანაგებზე მარტო მაშინ კი არ ზრუნავდა, როცა ისინი ავად იყვნენ. მათ შესახებ დასნეულებამდეც ყველაფერი იცოდა,

პიონერი
1
იანვარი
1976
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ყველაფერში ჩახედული იყო. მწერდა: „ამხ. სემაშკო! შევიტყვე, თურმე ავანესოვი თავს ძალას ატანს და ისე მუშაობს, არა და ძალზე ცუდად კი ყოფილა... გთხოვთ თავზე დააყენოთ სავსებით საიმედო პროფესორები და დაავალოთ, მოგვცენ წერილობითი დასკვნა (დიაგნოზისა და მკურნალობის). კომ. სალამით ლენინი“.

ხოლო როცა რთულ მკურნალობას, განსაკუთრებით საზღვარგარეთ მკურნალობას ეხებოდა საქმე, ვლადიმერ ილიას ძე, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დაცვაზე ზრუნვით ერთთავად გართული, პოულობდა დროს გაეთვალისწინებინა ამგვარი მკურნალობის ყველა უწვრილმანესი დეტალი.

ვლადიმერ ილიას ძის მზრუნველობის წყალობით არაერთი „ძველი გვარდიელის“ სიცოცხლე გადარჩა, ჯანმრთელობა ხომ — ძალზე, ძალზე ბევრისა.

შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ვლადიმერ ილიას ძე ასეთ დახმარებას მხოლოდ მაშინ უწევდა ვინმეს, როცა ამის საშუალება მიეცა — სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნისას.

თექვსმეტ წელიწადს ვიცნობდი ლენინს. კარგად მახსოვს საზღვარგარეთ ცხოვრების წლებშიც. იქაც ასეთივე იყო. მუდმივი სურვილი სხვების დახმარებისა, ადამიანის მდგომარეობაში შესვლის საოცარი უნარი მაშინაც განასხვავებდა ვლადიმერ ილიას ძეს. თვითონ მე, ჩემი ოჯახითურთ, ჯოჯოხეთურ გაჭირვებაში ვიყავი საზღვარგარეთ, მაგრამ ყოველგვარად ვმალავდი ამას. მუდამ მაოცებდა, თუ როგორ ამჩნევდა ვლადიმერ ილიას ძე ჩვენს გასაჭირს, ყველაფერს იღონებდა და აუცილებლად იპოვიდა დახმარების საშუალებას. 1918 წელს 18 წლის ქალიშვილი გარდამეცვალა. საზღვარგარეთ ყოფნისას ვლადიმერ ილიას ძეს მასთან წამეცადინება უყვარდა ხოლმე. დიდ მწუხარებას ზედ ისიც ერთვოდა, რომ დაკრძალვის ხარჯების გაწევა ჩემს საშუალებას აღემატებოდა. ვლადიმერ ილიას ძისათვის ამაზე არაფერი მითქვამს. და, მაინც მან ყველაფერი შეიტყო. მოულოდნელად კონვერტი მივიღე:

„სახკომსაბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით გეგზავნებათ ამდენი და ამდენი თანხა დაკრძალვის ხარჯებისათვის“.

ამ ადამიანის ღრმა, უკეთილშობილესი სულის გადმომცემი ბევრი სურათი ცოცხლდება ჩემს ხსოვნაში.

ამხანაგების გასაჭირის განსაცვიფრებლად გულთან მიმტანი, მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის დიდად მზრუნველი, ვლადიმერ ილიას ძე სრულ დაუდევრობას იჩენდა საკუთარი ცხოვრების პირობებისადმი. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია თავის მოგონებებში წერს, თუ რა უბრალოდ ცხოვრობდნენ ისინი ემიგრაციის წლებში: პატარა ოთახი, უბრალო რკინის საწოლი, ასევე უბრალო, წიგნებით დაფარული ხის მაგიდა, ორიოდე სკამი და ტაბურეტი — ეს იყო და ეს. ასეთივე თავმდაბალი და არამომთხოვნი დარჩა ვლადიმერ ილიას ძე მაშინაც, ევროპაში ყველაზე დიდი სახელმწიფოს მართვა რომ დაიწყო. როცა მთავრობა ლენინგრადიდან მოსკოვში გადმოდიოდა, ლენინს ვრცელი, მოხერხებული ბინა შესთავაზეს. იგი კი პაწაწინაოთახებიან ბინაში დასახლდა. როცა ექიმების მოთხოვნით გორკაში გადაიყვანეს და უნდოდათ ყოფილი დიდკაცის სახლში მოეთავსებინათ, ვლადიმერ ილიას ძემ უარი თქვა ამ სახლში ცხოვრებაზე და ფლიგელის მომცრო ოთახში დაბინავდა. როცა მოსკოვის გარეუბნის ერთ-ერთი საბჭოთა მეურნეობის დირექტორს აზრად მოუვიდა ესერი კაპლანის მხეცური თავდასხმის შემდეგ ავადმყოფი ლენინისათვის ხილი მიერთმია, მან სასტიკი დღე აყარა ამ დირექტორს. ხილი კი, ბრძანა, დაუყოვნებლივ გადაეგზავნათ საბავშვო სანატორიუმისათვის.

მშრომელებზე გამუდმებული ზრუნვა, მათდამი გასაოცარი გულისხმიერება ვლადიმერ ილიას ძეს შეხამებული ჰქონდა მუშათა კლასის მტრების, რევოლუციის მტრების მიმართ შეურიგებელ სიძულვილთან.

ვლადიმერ ილიას ძე მუდამ უყოყმანოდ გაემიჯნებოდა მათ, ვისთანაც იგი წინათ მუშაობდა, თუკი გზაზე გადაეღობებოდნენ რევოლუციას. იგი არა თუ ურთიერთობას წყვეტდა მათთან, ანადგურებდა კიდეც ბრძოლაში.

## ლენინი და ბავშვები

განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიყვარულს იჩენდა ლენინი ბავშვების მიმართ.

დიდი ადამიანების ბიოგრაფიაში ძალზე ხშირად ვხვდებით ერთ საერთო დამახასიათებელ თვისებას — ბავშვების სიყვარულს. წერენ, რომ მარქსს უყვარდა თავის [illegible] შვილიშვილებს შორის [illegible] გატაცებით ასახიერებდა კავალერიის ცხენს, როცა პატარები მხრებზე შეასხდებოდნენ. ამბობენ, ლევ ტოლსტოი თავს ყველაზე უკეთ ბავშვების წრეში გრძნობდაო.

ბავშვების ასეთივე მეგობარი იყო ვლადიმერ ილიას ძეც. ყველასათვის ცნობილია მოსკოვის გარეუბნის ერთ-ერთი სოფლის ბავშვებთან გადაღებული მისი ფოტოსურათი. ზის ბავშვებში მშვიდი, გაღიმებული, ნაოჭები თითქოს გამქრალან მის სახეზე. პარიზის გარეუბანში რომ ვცხოვრობდი, იგი ხშირად გვეწვეოდა ჩემი ბავშვების გასართობად. პირდაპირ გაოცდებოდით ამ ადამიანის თანდაყოლილი პედაგოგიური ნიჭით. ბავშვები აღმერთებდნენ მას და მოუთმენლად ელოდნენ. ლენინი თითოეულ ბავშვს სერიოზული, საინტერესო, გასაგები ენით ელაპარაკებოდა და ყოველთვის რაიმე ახალ გასართობს იგონებდა. მახსოვს, 1911 წელს მე და მან გადავწყვიტეთ პარიზიდან თორმეტიოდე ვერსზე გაგვესეირნა ველოსიპედებით. ჩემი თერთმეტი წლის გოგონა თვალცრემლიანი მემუდარებოდა, მეც წამიყვანეთო. ლენინმა, რა თქმა უნდა, მხარი დაუჭირა. ძნელი გზა იყო გასავლელი, აღმართ-დაღმართებიანი. უნდა გენახათ, რა ნაზად უვლიდა ვლადიმერ ილიას ძე დაღლილ გოგონას. აღმართს რომ მივადგებოდით, გოგონას ველოსიპედზე დატოვებდა და ორივეს ველოსიპედს თვითონ მიაგორებდა. ვთხოვდი: ნუ ირჯებით ასე, რა მოხდა, თუ ჯანმრთელი, ყოჩაღი გოგონა ცოტა დაიღლება-მეთქი. ვლადიმერ ილიას ძე მთათხავდა „ასულისადმი ასეთი უმსგავსო მოქცევის“ გამო. „ასეთ მშობლებს შვილები უნდა წაართვაო“, — ამბობდა.

მსოფლიოს ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ სახელმწიფოს სათავეში რომ ჩაუდგა, ამხანაგი ლენინი დაუღალავად ზრუნავდა საბჭოთა ქვეყანაში ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ოქტომბრის რევოლუციიდან სულ მალე ვლადიმერ ილიას ძის ინიციატივით განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა „ბავშვთა დაცვის საბჭო“, რომელშიც იმ უწყების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ვისაც ბავშვებთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა. შემდგომში, როცა დაინახა, რომ ეს საბჭო ზოგიერთი სახალხო კომისარიატისათვის სათანადო ავტორიტეტს არ წარმოადგენდა, ვლადიმერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას ძემ წინადადება წამოაყენა ქვეყნის უმაღლეს ორგანოსთან — ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილიყო კომისია ბავშვთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. კომისიას ხელმძღვანელობდა ნორჩების დაუვიწყარი მეგობარი ფელიქს ძერჟინსკი.

ბავშვების მიმართ შეუნელებელ მზრუნველობას ავლენდა ვლადიმერ ილიას ძე შიმშილობისა და ნგრევის წლებში. იმ დროს ლენინის ხელმოწერილი სახკომსაბჭოს დეკრეტები სამუდამოდ დარჩება ბავშვებზე საბჭოთა ხელისუფლებისა და ამხანაგ ლენინის ზრუნვის ისტორიულ ძეგლებად. საბავშვო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა ადგილობრივ ორგანიზაციებს წერილით მიმართეს: „საბჭოთა პროლეტარულ ქვეყანაში ბავშვები ყოველმხრივ უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ, მიუხედავად მძიმე სამეურნეო და სასურსათო სიძნელეებისა, რასაც სახელმწიფო განიცდის“. — ასე მთავრდებოდა ეს წერილი.

1919 წელს ამხანაგ ლენინის ხელმოწერილი დეკრეტი იუწყებოდა: „კვების ყველა საგანი, რომლებსაც სასურსათო მაღაზიები იძლევიან ბავშვებისათვის, 14 წლის ჩათვლით, ამიერიდან გაიცემა უფასოდ, სახელმწიფოს ხარჯზე... ბავშვთა კვების პროდუქტები გაიცემა პირველ რიგში... უფასოდ კვების უფლება ეძლევა ზემოაღნიშნული წლოვანების ყველა ბავშვს... „ამხანაგ ლენინის განკარგულებით, საბჭოთა მეურნეობების აგარაკები და შენობები გამოიყო საბავშვო დაწესებულებებისათვის. ერთ-ერთ დეკრეტში ეწერა: „ბავშვთა კოლონიებისათვის ტვირთის გადატანა დაყენებული იქნეს სამხედრო ტვირთის გადატანის დონეზე“.

ვლადიმერ ილიას ძე ზრუნავდა ბავშვთა არა მარტო ცხოვრებისა და ჯანმრთელობისათვის, არამედ მათი განათლებისა და აღზრდისთვისაც. საყოველთაოდ ცნობილია მისი მითითებები სასკოლო განათლების მომზადების თაობაზე, მისი ზრუნვა საყოველთაო სწავლების შემოღებისათვის...

თარგმნა ს. ბეჩოელმა.



# ორჯონიკიძე ლენინთან

ნოდარ შამანაძე

მთელი ქვეყანა ბორგავდა,
როგორც ზღვა ქარიშხლიანი,
ხეთა შარიშურს მოჰგავდა
დროშების კალთის შრიალი.

გრიგალი გრიგალს გაენდო,
გმირი გრგვინავდა გმირთანა,
რაც კი წარსულმა ვერ შესძლო,
ცხრაას ჩვიდმეტმა ითავა.

სიცხე მეფობდა ზაფხულის,
სიცივე ზამთრის სასახლის,
ჯალათებს ჯაფა ვერ
ღლიდათ,
წელში წყდებოდა მათრახი.

მეძებრებივით ნაგეშნი
ცას ძრავდნენ, მიწას
ანგრევდნენ,
ლენინს ეძებდნენ, ბრალს
სდებდნენ
ძველი სამყაროს ბრალმდებელს.

ხალხმა ბელადი დამალა,
ვერ ნახულობდა ავგული,
თითქოს და უჩინმაჩინის
ქუდი დაჰხურეს ზღაპრული.

* * *

შორს დაკარგული სადგური —
რაზლივი, წყნარი რაზლივი,
ღრუბლები წამოუხურავს
სუფთად ნაქსოვი ლაზლივით.

ტბა ღელავს, ნავი პატარა
ხელმარჯვედ მიჰყავს მენავეს,
შიგ რომ უცნობი მგზავრია,
ისიც ტბასავით მღელვარებს.

ტანმაღალია, ბეჭფართო,
გოლიათს უგავს მხარ-მკლავი.
ულვაშები და თმები აქვს
ყორნის ფრთასავით შავ-შავი.

ნაპირზე მარდად გადახტა,
წინ ვეფხვის მუხლით გასწია,
ბუჩქების იქით შენიშნა
თივის კარავი პაწია.

ზღვა სიხარულით აივსო
სახეზე ღიმდაფენილი:
— სალამი სერგოს, სალამი!
შემოეგება ლენინი.

გადაეხვივნენ ძმებივით,
მერე შევიდნენ კარავში,
ცელქი ბავშვივით
ფურცლავდა
ქარი სქელ წიგნებს
ვაჟაშვილს.

გაესაუბრა ბელადი
ღიმილით, თავის აწევით;
სერგომ ბარათი გადასცა
ფოლადურ ხელით ნაწერი.

წაიკითხა და ჩაფიქრდა,
კვლავ წაიკითხა ხელახლა...
— დროა შეტევა დავიწყოთ.
ასეთ კარგ მომენტს
ვერ ვნახავთ.

გზა მივცეთ რევოლუციას,
მოვსპოთ მჩაგვრელთა თარეში...
ორჯონიკიძეს ხალისით
ცეცხლი აენთო თვალებში.

ლენინმა გაიმეორა:
— აწ დაყოვნება არ გვინდა! —
და დიდ მომავალს გახედა
პატარა ქოხის სარკმლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



✱ მარჯვენაფლანგელი რაზმის „ნაპერწკლის“ წევრები ქიმიის გაკვეთილზე.

# წინამძღოლობს ვიმპელი

**ნორა ნორაკიძე**

ვ. ბორისენკოს ფოტო

ნოემბრის არდადეგების შემდეგ თბილისის 142-ე საშუალო სკოლას ვეწვიეთ. ზოია რუხაძის სახელობის რაზმეულთან ნაცნობობა უფროსი პიონერხელმძღვანელებისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის გაცნობით უნდა დაგვეწყო. ამიტომ ისინი მოვიკითხეთ.

ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გულიკო ხორბალაძე სკოლაში არ დაგვხვდა: VI კლასის რაზმ — „მოწინავის“ პიონერებთან ერთად ლენინგრადს გამგზავრებულიყო.

ლენინგრადის ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციამ, როგორც მოგეხსენებათ, მოაწყო საკავშირო პიონერული თამაში — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. თამაში სამ ეტაპად მიმდინარეობს. პირველი ეტაპი იყო „მიწა და ბუნება“, მეორე — „სათამაშოების ფაბრიკა“. ნოემბრის არდადეგებისათვის პირველი ეტაპის — „მიწა და ბუნების“ შედეგები შეჯამდა და გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. მათს რიცხვში აღმოჩნდნენ 142-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელები. ამიტომ მიიწვიეს ისინი ლენინგრადის ტელესტუდიაში.

რაზმ „მოწინავის“ პიონერები მეგობრობდნენ ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშებთან. ნორჩები მათ ხშირად ეხმარებოდნენ მოსავლის აღებაში, უმართავდნენ შეხვედრებს, კონცერტებს. პიონერებს ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის დაარსების, მისი შემდგომი განვითარების მასალები, ძველი ფოტოდოკუმენტები შეუგროვებიათ და მეურნეობის ისტორიის ამსახველი ალბომიც შეუდგენიათ. ნორჩი მეგობრები შემოდგომაზე რთველშიც სწვევიან მეურნეობის მუშებს და დახმარებიან მოსავლის დაბინავებაში. პიონერული ცხოვრება ურომანტიკოდ წარმოუდგენელია. მეექვსე-

## ჩვენც ვიბრძვით [illegible] ხელის მოსაწერად...

კლასელებიც გატაცებით ეწაფებიან პიონერულ რომანტიკას, აწყობენ ექსკურსია-ლაშქრობებს, გასვლას ბუნების წიაღში. პიონერებმა იმოგზაურეს მარშრუტებით: თბილისი—მცხეთა—ჯვარი; თბილისის ზღვა—წითელი სოფელი. „მიწა და ბუნებაც“ სწორედ ასეთ საქმიანობას მოითხოვდა პიონერებისაგან.

ყოველივე ეს გვიამბეს უფროსმა პიონერხელმძღვანელმა თერმი კერესელიძემ და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ლალი წიკლაურმა.

მათვე ვთხოვეთ გაეწიათ შემდგომი მეგზურობა და გაეცნოთ ზოია რუხაძის სახელობის პიონერული რაზმეულის საქმიანობა.

ლალი წიკლაურმა ფრთხილად გადმოიღო ალისფერი, სამკუთხა ვიმპელი, მოწიწებით გაასწორა და ისე დაგვიდო წინ, რომ მასზე წარწერილი ავტოგრაფების წაკითხვა შეგვძლებოდა.

— ავტოგრაფებიანი ვიმპელი, რას ნიშნავს ეს?

— ყველა ნივთს თავისი ისტორია აქვს, — დაიწყო თხრობა ლალიმ, — ზოგიერთი კი რელიკვიადაც გადაიქცევა ხოლმე, როგორც დიდმნიშვნელოვანი, სასარგებლო საქმეების წამომწყები და დამფუძნებელი. ასეთ სამსახურს გვიწევს ჩვენი ავტოგრაფებიანი ვიმპელიც. თუ მის ისტო-



დავით ცაგარეიშვილი ლენინგრადულ შთაბეჭდილებებს უზიარებს ლალი წიკლაურს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნად, საუკეთესო რაზმის სახელისა და ვიმპელის მოსაპოვებლად გაეშალათ შეჯიბრება. ასეც მოიქცნენ. ხოლო როდესაც საკავშირო პიონერული მარშის ახალი პროგრამა გამოქვეყნდა, ჩვენმა შეჯიბრებამ მეტი შინაარსი შეიძინა. იგი მიეძღვნა სკკპ XXV ყრილობას, გაუჩნდა დევიზი: „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს“.

ასე დამკვიდრდა ჩვენს სკოლაში ავტოგრაფებიანი ვიმპელი, თავისი შინაარსით მნიშვნელოვანი შერიას გავადევნებთ თვალს, იგი სკოლიდან კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხნამდე მიგვიყვანს.

პიონერებისა და ახალგაზრდა მუშების მეგობრობა ტრადიციად დამკვიდრდა. იმ დღესაც ჩვეულებისამებრ მივედით ქარხანაში. უფროსი პიონერხელმძღვანელისა და მოსწავლეთა კომკავშირის კომიტეტის მდივნის მეთაურობით პიონერული აქტივი ეწვია მესამე, ამწყობ კომკავშირულ საამქროს. ჩვენი მიზანი იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ივანე მანუკოვის კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას შევხვედროდით. გავიცანით ამ ბრიგადის წევრი ბენო ყლენტი, რომელიც კომკავშირული გარანტიით ამზადებს პროდუქციას. ვესაუბრეთ შრომის სხვა დამკვრელებსაც: თემურ სებისკვერაძეს, ილია ქელეხსაშვილს, მაყვალა ბეროზაშვილს. ამ კომკავშირელებს თავიანთი შრომით არა მარტო სახელი, მოსკოვში წარსულისა და გამარჯვების დროშასთან სურათის გადაღების უფლებაც მოუპოვებიათ.

ქარხნის ახალგაზრდობას ბევრი სასახელო, საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ჩაუყრია საფუძველი. მაგალითად, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავთან

ვინ იცის, იქნებ ეს ნორჩი ტანმოვარჯიშე მაია შარიქაძე არა მარტო მშობლიური სკოლის მასახელებელი გახდეს...

დაკავშირებით ისინი თბილისის თემქის დასახლების III მიკრორაიონში შინმოუსვლელთა ობელისკის აგებას აპირებდნენ. ეს აზრი ძალზე მოგვეწონა. ჩვენი სამსახურიც მაშინვე შევთავაზეთ — მოგვეწყო პიონერული შაბათობები ობელისკის მშენებლობაში საკუთარი წვლილის შესატანად. შევპირდით აგრეთვე, რომ მათ მსგავსად ჩვენც ვიქნებოდით სწავლისა და შრომის მოწინავენი.

მეგობრობის განმტკიცების ნიშნად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრებმა აი ეს ვიმპელი გადმოგვცეს და მათზე თავიანთი ავტოგრაფები წააწერეს.

ვიმპელის გამოჩენამ სკოლაში დიდი სიხარული გამოიწვია. ყველას დაებადა სურვილი მოწინავე კომკავშირული ბრიგადის წარმატებებისათვის ესწორებინა მხარი. პიონერულმა რაზმებმა გადაწყვიტეს სწავლასა და შრომაში თავის გამოსახე-



ქიმია ერთ-ერთი საყვარელი საგანია 142-ე სკოლის მოსწავლეებისათვის.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიბრების წამომწყები, წინამძღოლი და თანამგზავრი, — დაასრულა ვიმპელის საინტერესო თავგადასავალის თხრობა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ლალი წიკლაურმა.

შარშან თორმეტი რაზმისაგან შვიდი გახდა მარჯვენაფლანგელი: „მაძიებელი", „მზიური", „მეგობრობა", „ნაპერწკალი", „ჩირაღდანი", „მოწინავე", „თოლია", მაგრამ მეოთხე მეოთხედის დასასრულისა და საბოლოო შედეგების შეჯამებისას საუკეთესოთა შორის საუკეთესო რაზმი აღმოჩნდა „ნაპერწკალი". VII² კლასის მოსწავლეებს არც ერთი ოროსანი აღარა ჰყავდათ. მტკიცე დისციპლინითა და შრომითი საქმიანობითაც აჯობეს სხვებს.

პირველ მეოთხედში რაზმში სამი ოროსანი პიონერი იყო. მაშინვე ამოქმედდა „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი". რაზმეულის საბჭოს სხდომაზეც მაგრად შეახურეს მთელი რაზმის შემარცხვენელი ოროსნები, მერე საერთო ფერხულში ჩააბეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს. რაზმი იმითაც გამოირჩეოდა, რომ აკადემიური წარმატების მოსაპოვებლად ახალ ხერხს მიმართავდა. ეს ხერხი გახლდათ — ვისწავლოთ ერთად! კვირის ბოლო დღეს მთელი რაზმი რჩებოდა მეცადინეობის შემდეგ, მომავალი დღის გაკვეთილებს ამზადებდნენ იქვე. ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების განმტკიცების მიზნით რაზმის საბჭომ პიონერებს დაავალა მაქსიმალურად გაერთიანებულიყვნენ საგნობრივ წრეებში, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მათ მუშაობაში. „ნაპერწკლელები" ყველა დავალებას პირნათლად ასრულებდნენ, რაზმეულის მიერ მოწყობილ „მხატვრული კითხვისა" და „პოეზიის" საღამოებში თავი გამოიჩინეს. აქტიურობდნენ აგრეთვე ამავე მასშტაბით გამართული გაიდარის ნაწარმოების „თემური და მისი რაზმი" განხილვაში, მცხეთის რაიონის სოფელ გალავნის საშუალო სკოლის პიონერებთან მეგობრობაში, მათთვის წიგნებისა და საჩუქრების შეგროვებაში.

ასე რომ, გამარჯვება თავისთავად არ მოსულა. მას დიდი შრომით, მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მოპოვებით მიაღწია პიონერულმა რაზმმა „ნაპერწკალმა" და ღირსეულად დაიმსახურა გარდამავალი ჯილდო — ავტოგრაფებიანი ვიმპელი.

პიონერული რაზმეულების, რაზმების, რგოლების ყოველი პიონერის ამოცანაა წარმატებით შეეგებოს სკკპ XXV ყრილობას, გაამართლოს კომუნისტების ნდობა, მხარი უსწოროს მათ, გაშალოს შეჯიბრება მშობლიური კომუნისტური პარტიის ყრილობისადმი საკავშირო პიონერული ორგანიზაციის პატაკის ხელმოწერის უფლების მოსაპოვებლად. ახალი მარშის მოთხოვნების შესასრულებლად იბრძვის თბილისის 142-ე საშუალო სკოლის პიონერული რაზმეულიც.

შეჯიბრების ვალდებულებებში ხელისგულივით არის გადაშლილი ყოველი რაზმის საქმიანობა, ის, თუ რა მისწრაფებები, ინტერესები და საქმეები ასულდგმულებს აქ თითოეულ პიონერს.

ფიცივით გაისმის შეჯიბრების ვალდებულებები: ავამაღლებთ რაზმის აკადემიურ წარმატებას, ვიბრძოლებთ მარჯვენაფლანგელის სახელის მოსაპოვებლად;

დავეხმარებით საშეფო ქარხნის კომკავშირელებს დიდების ობელისკის აგებაში;

შეფობას გავუწევთ სოფელ გალავნის საშუალო სკოლის მოსწავლეებს;

საკუთარ წვლილს შევიტანთ კომუნისტურ შაბათობებში;

საინტერესო ვალდებულება სხვაც ბევრია. თითოეულმა რაზმმა ივალდებულა შეისწავლოს საშეფო ქარხნის კომუნისტური შრომის ერთ-ერთი დამკვრელის ცხოვრება, დაუმეგობრდეს მას. მაშინ ყოველ რაზმს, საშეფო რაზმის ხელმძღვანელის გარდა, ეყოლება თავისი კომუნისტური შრომის დამკვრელიც, რომელიც იზრუნებს პიონერთა აღზრდაზე, იმეგობრებს მათთან. ვალდებულებების მიზანია ზ. რუხაძის სახელობის პიონერული რაზმეული ხელდამშვენებული შეხვდეს სკკპ XXV ყრილობას. თუ ვინ გაიმარჯვებს ამ შეჯიბრებაში, ვინ მოიპოვებს ავტოგრაფებიან ვიმპელს, ამას მომავალი გვიჩვენებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილი

მოთხრობა

მხატვარი ზ. ფორჩხიძე.

## პირველი ნაწილი

### წითელი კერპის დუმილი

— ვესტა!

ძახილმა სწრაფად მოიარა ჭალიანი და ექოდ დაბრუნდა უკან.

ფოთოლიც არ შეურხევიათ, გაუნძრევლად იდგნენ ასწლოვანი ხეები.

ბიჭი ნეშოთი მოფენილ ბილიკზე იდგა და ელოდა. ფეხებზე სისველე იგრძნო, დანამულ თეთრ კედებზე დაიხედა და ჩამოწეწილ თმაზე შეივლო ხელი.

ტოტებით გადახურულ ვიწრო ხეივანში, ბილიკს რომ კვეთდა, არავინ ჩანდა. ბიჭი აკაციის წვრილი ფოთლებით ამზევებულ მდელოზე გავიდა და ვარჯიში დაიწყო. აკაციებს ადრე დასდგომოდათ ფოთოლცვენა. ვარჯიშობდა და შემჭკნარი ფოთოლი აწვიმდა თავზე, მაისურის გულისპირში უცვიოდა, საამოდ ულიტინებდა ბეჭებზე, მხრებზე.

ფოთოლცვენის ნელი შრიალი დამშვიდობების იდუმალ ჩურჩულსა ჰგავდა — ფოთლები სამუდამოდ ეთხოვებოდნენ დედას.

„სწორედ ისე, როგორც მე გამოვეთხოვე... მაშინ ასე მეგონა, რომ სამუდამოდ ვეთხოვებოდი, შემაშინა მოძალებულმა სენმა“, — გაიფიქრა და მკაფიოდ გაახსენდა ის დღე, როცა მამამ ამ შორეულ საკურორტო ქალაქში ჩამოიყვანა.

ვარჯიში დაამთავრა, რეიტუზი უფრო შემოიწუთხა მოქნილ ტანზე და სარბენად მოემზადა.

ხეივნის ბოლოს გოგონა გამოჩნდა. მსუბუქად მორბოდა.

— ჯუბი, დამიცადე! — გამოსძახა ბიჭს.

ცისფერი სასპორტო კოსტიუმი ეცვა, მაჯებთან და გულისპირთან თეთრი ზოლებით დამშვენებული. მორბოდა ტირიფებქვეშ და ბამბის ფთილასავით თეთრ ნაწნავს მოაქანავებდა. შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს ტირიფების ფოთოლთა ვერცხლის ანაბზინი დაჰკრავდა გოგოს.

ჯუბის წინ გაჩერდა და აქაქანებულმა ძლივს თქვა სალამი.

— დღეს ალბათ გამიჭირდება პირველჯგუფელების გზაზე სიარული. წუხელ ცუდად მეძინა, — თქვა გოგომ, გრძელი მკლავები მაღლა აღმართა, ფეხის წვერებზე აიწია და ღრმად ჩაისუნთქა, მერე ძირს ჩამოყარა მკლავები და ამოისუნთქა.

ჯუბიმ იცოდა, ვესტა ჯერ ისევ სუსტად გრძნობდა თავს, მართალია, ექიმმა დატვირთვა გაუდიდა სამკურნალო ფიზკულტურაში და პირველ ჯგუფში გადმოიყვანა, მაგრამ მაინც ფხიზლად ადევნებდა თვალს გოგონას ყოველ ნაბიჯს.

ვესტა დღეგამოშვებით დადიოდა სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტში საკონსულტაციოდ. ამიტომ იყო, რომ დილ-დილობით ტერენკურზე რბენის დროს ჯუბი ყოველთვის თან ახლდა თავის თანაკლასელს.

ნელა გაუყვნენ გზას. ვესტა, უძილობისა თუ ძილისაგან მოთენთილი, გვერდით გაჰყვა ბიჭს. გადასახედთან შედგნენ. მათ ქვემოთ, ვრცელ ტაფობზე წიწვნარით შერეული ლამაზი ფოთლოვანი ტყე მოჩანდა. მართლა ტყე გეგონებოდათ, რომ არა სვეტებიანი ჭიშკარი, დაყოლებული ქალაქის მხრიდან, და საზაფხულო თეატრის ლამაზი შენობა...

ვესტამ ეშმაკურად შესცინა ბიჭს, ბილიკზე გავარდა ქუსლების ბაკუნით დაეშვა ბეტონის საფეხურებზე, რომელიც დაბლა, ტყე-პარკამდე იყო ჩაკბილული. ჯუბი უკან მიჰყვა. მათ სწრაფად ჩაათავეს მიხვეულ-მოხვეული გრძელი კიბე და იმ ხეივნით განაგრძეს სირბილი, რომლითაც იწყებოდა მათი ჯგუფის ტრასა. ხეებით გადაბურულ ბილიკებზე ისევ ბნელოდა. ნეშომპალათი გაშავებული სველი ფოთლები აღარ ხმაურობდნენ ფეხქვეშ.

მერე უცბად განათდა ცა და ფერი შეიძინა მათ წინ გაშლილმა ველიანმა. ისინი როზარიუმში გავიდნენ. ათასფრად ილვიძებდა გადანამული სავარდეთი. მტევნებად, კუნწულებად, შუქთა დისკოებად ეკიდა ტოტებს სხვადსხვა ჯიშის ყვავილები.

ვესტა და ჯუბი ხვინჭამოყრილ ბილიკზე გარბოდნენ და ხარბად სუნთქავდნენ ცივ და სურნელოვან ჰაერს.

უცებ ვესტა ჩამორჩა. ჯუბიმ რომ მიიხედა უკან. დაინახა, თეთრთმიან გოგოს დიდი, თეთრი ვარდი ეჭირა ხელში და თავმომწონედ ეკითხებოდა:

— თქვი, ჯუბი, რომელი სჯობია?

ბიჭი შეუწყრა, რატომ მოგლიჯეო, და წინ წავიდა, მერე ფეხს აუჩქარა და გაიქცა.

ხვინჭამოყრილი ბილიკი მოთავდა. ტყე-პარკის განაპირა ხეივანი უკაცრიელი ჩანდა. ამ გზით უნდა გაევლო ორივეს. მოსახვევთან აღმართი იწყებოდა. ცხადია, ვესტას გაუჭირდებოდა აღმართზე ავლა. ჯუბიმ ნაბიჯს უკლო და იმავე წუთს მოესმა:

— ჯუბი! ჩამიბი, რა!

არ მიუხედავს. შეჩერდა და ისე ელოდა. ნაბიჯების ჩქამი ესმოდა და ნელი ძახილი:

— ჩამიბი, რა!

არ უნდოდა მიეხედა და მაინც მიიხედა...

თვალები გაახილა, თავი წამოსწია და მიმოიხედა. ძლივს მიხვდა, რომ პალატაში იყო. თვალებჩაბჟუტული, განიერყვრიმალებიანი დაბალი ბიჭი თავს ედგა და გულდიად შესცინოდა.

— წყლის დალევა დაგიგვიანდება, ადექი.

პალატაში ყველა საწოლი ალაგებული ჩანდა, ჯუბის გაუკვირდა, ასე რამ ჩამაძინაო, წამოხტა და ჩაცმას შეუდგა.

— მე ვერ დაგიცდი, ხომ იცი, ჭამამდე საათნახევრით ადრე ვსვამ, — უთხრა ბიჭმა და წასვლა დააპირა.

— ამისიც მადლობელი ვარ, რომ გამაღვიძე. ნამდვილი ფავნისი ხარ.

— ფავნისი კი არა, ფანისი მქვია.

— ფავნისი ჩვენთან ხატის სახელია. იცი, რა ძლიერი ხატია? — ჯუბიმ გამომცდელად შეხედა საწოლით მეზობელს.

— არ მჭირდება ხატები, უმათოდაც კარგად ვგრძნობ თავს, — გაეცინა ფანისს და უარესად ჩაებჟუტა პატარა თვალები.

კვირა თენდებოდა, ალბათ ბიჭებმაც გვიან გაიღვიძეს და სათითაოდ გაიპარნენ პალატიდან. ტერენკურზე არავინ გვიდოდა სავარჯიშოდ, ისე გაისეირნებდნენ ალბათ.

პირი დაიბანა, ჩაიცვა და სარკესთან დაიწყო კოპწიაობა. თვალებში სულაც აღარ ეტყობოდა ავბედითი სიყვითლე, ვესტა რომ ბალტიის ქარვას ეძახის დაცინვით. მის წინ იდგა შავთმიანი, ტანთხელი ბიჭი. ოდნავ მოღუნული თხელი ცხვირი, გაწყობილი ტუჩ-კბილი და, რაც მთავარი იყო ახლა უნაბისფერი გუგების ირგვლივ ოდნავ მოლურჯო, კრიალა თეთრი გარსები მოუჩანდა ირიბად გაჭრილ ქუთუთოებს შორის. ეს უკვე ჯანმრთელობას ნიშნავდა.

მწვანე ხავერდისაგან შეკერილი საკუროროტო ჩანთა აიღო. შიგ სამკურნალო წყლის სასმელი ხორთუმიანი ფინჯანი იდო და გაკეცილი ჟურნალები სახელდახელო საკითხავად.

ქუჩაში თბილოდა. დარმა წაიწია, ოქტომბერშიც მზიანი და უღრუბლო დღეები იდგა. ტროტუარებზე ნელა მისეირნობდა შილიფად ჩაცმული ხალხი.

სანატორიუმ „მოსკოვთან“ ახლოს მდებარე მინისგუმბათიანი წყლის სასმელი ბიუვეტი კოცონივით ენთო მზის სხივებით.

ჯუბი დაბლა, ტყე-პარკში უნდა ჩასულიყო, სწორედ იმ გზით უნდა ევლო, წელან რომ სიზმარში ნახა. მაინც რამ დაასიზმრა. კარგახანია ერთად ვარჯიშობენ ის და ვესტა, მაგრამ არასოდეს შეუმჩნევია თუ ყვ[illegible] მათ ირგვლივ. ასე ლამაზი იყო, როგორც სიზმარში ნახა.

ფიქრში გართულმა ჩაათავა ბეტონის საფეხურები, ქვედა პარკში ჩავიდა და წყლის სასმელი პავილიონისაკენ გაჰყვა ნელა მორონინე მოხუცი დამსვენებლების ჯგუფს. ხეივნის პირას სკამებად გადახერხილ ძირკვებზე აქა-იქ ისხდნენ უფრო მძიმე ავადმყოფები და ზანტად წრუპავდნენ წყალს.

კიოსკთან შეჩერდა. ახალი გაზეთები იყიდა და წასვლა დააპირა, რომ სულ ახლოდან გაისმა ძახილი:

— ჯუბი, დამიცადე!

ვესტა მოდიოდა. მასაც მსუბუქად ეცვა. მწვანე ჟაკეტი ჩანთის თავზე გადაეკიდა და კაბის ამარა მოსეირნობდა.

პავილიონში ცოტა იყო ხალხი, ფინჯნები გაავსეს და სამხრეთის კარით გავიდნენ. კიბიდანვე ცაცხვებით დაჩრდილული ბილიკი იწყებოდა; მერე გზები იყოფოდა და ვინ საით მიდიოდა ფინჯნით ხელში და, ვინ როგორ ასრულებდა წყლის სმის ყოველდღიურად დადგენილ რიტუალს, საინტერესო სანახავი იყო.



ვესტა და ჯუბი ერთხანს ამით ერთობოდნენ და მერე ნელა ბრუნდებოდნენ სკოლა-სანატორიუმში.

გზისპირას სახელდახელოდ გამართულ ფარდულში ბეწვის ქუდებს ყიდდნენ.

— ვაითუ აქ მომიხდეს დაზამთრება, უნდა ვიყიდო ბურძგლა ქუდი, — თქვა ვესტამ და ჯუბის შეხედა.

— ნუ გეშინია, თვალებში აღარა გაქვს ბალტიის ქარვა, — უპასუხა ბიჭმა, თუმცა იცოდა, რომ მარტო ეს არ იყო ვესტას აქ ჩამოსვლის მიზეზი.

— ბურძგლა ქუდს კი სულ ერთია ვიყიდი... ახლავე ვიყიდი, სანამ იშოვება, — ფარდულთან შეჩერდა და თითქოს მოფერებით გადაუსვა ხელი შავად პრიალა გლუვ ბეწვს.

სანამ გოგო ქუდს არჩევდა, ჯუბი დაფიქრებული უყურებდა ქუჩაში მოფუსფუსე ხალხს და ფიქრობდა: „შორეული ქალაქი, სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული ადამიანები, მაგრამ არავინ და არაფერი ჩემთვის უცხო არ არის, თითქოს რაღაცა დიდი ნათესაობა გვაახლოებს, გვაერთიანებს... ალბათ — საერთო რწმენა".

— წამომიღე, რა! დაიხურე და ისე წამომიღე, — უთხრა ვესტამ და ქუდი ჩამოაფხატა თავზე.

პარკისპირა ქუჩაში გავიდნენ, აქედან ლამაზად მოჩანდა სკოლა-სანატორიუმ „ენძელას" ფასადი.

— საუზმეზე დავიგვიანეთ, — თქვა ჯუბიმ და ქუჩის საათისაკენ გაახედა ვესტა, — მთელი ნახევარი საათით.

— მთელი ნახევარი როგორ გავიგო, ერთნახევარი? — აკისკისდა ვესტა,

ჯუბიმ მშვიდად შეხედა. ვესტას დიდი პირი ჰქონდა და უსწორო კბილები, მაგრამ ეს ახლა, როცა დაუდევრად ეჭირა თავი. კოპწიაობას რომ დაიწყებდა, მაშინ უნდა გენახათ — სულ გამოიცვლებოდა ხოლმე.

უცებ ქუჩების გადაკვეთასთან მაღალი ხეებით მოყუდროებულ პატარა მოედანზე უჩვეულო სანახაობას წააწყდნენ: შუა ქუჩაში მრგვალი ფიცარნაგი აღემართათ ესტრადის მსგავსად, ოღონდ აფრიალებული ალმები და ტრანსპარანტების სიუხვე უფრო ზეიმზე მიანიშნებდა მნახველს.

ესტრადის თავზე ლოზუნგი ფრიალებდა:

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მოსავლის დღესასწაულზე"!

— აი თურმე რა ყოფილა. ეს კვირა სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღედ არის გამოცხადებული,—თქვა ვესტამ და ახლოს მიიწია შეჯგუფულ მაყურებლებთან. სცენაზე დადგმულ მიკროფონთან რიგ-რიგობით მიდიოდნენ ქალი და კაცი. ისინი მაყურებლებს მოუთხრობდნენ ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის მიღწევებზე. ისმოდა ლექსებიც.

სცენის დაბლა, მაყურებელთა წინ სასულე ორკესტრი იყო განლაგებული.

ამჯერად ქალი მივიდა მიკროფონთან. იგი გატაცებით ლაპარაკობდა შრომის გმირებზე, უხვი მოსავლის ოსტატებზე და როგორც საპატიო პრეზიდიუმში, ისე ამოდიოდნენ სცენაზე წითელი ტრანსპარანტები. [illegible]-ნავე ტრანსპარანტზე თავთუხისთმიანი ქალიშვილი ეხატა — ეს ხორბალი იყო, ნახატს ზემოთ კი მოჩანდა რეკორდული ციფრი. უკანა კიბით სცენაზე შემოდიოდნენ სხვა კულტურებიც. აი გაღიმებულმა ულვაშა ტარომ შემოაბიჯა და ხორბალს ამოუდგა გვერდით. მერე დიდთავა კომბოსტო შემობაჯბაჯდა. ერთად გამოჩნდნენ პირმრგვალი წითელლოყა პამიდორი და თავკერკეტა ძიძიფებიანი კიტრი. სულ ბოლოს ლამაზად მზემოკიდებული ღაჟღაჟა სტაფილოც გამოჩნდა. ყველანი სცენის წინ გამწკრივდნენ, ქალი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა.

ტრანსპარანტები მათი ხსენებისას თავებს ხრიდნენ მაყურებელთა წინაშე, რაც კანტიკუნტ სიცილს იწვევდა, აი ორატორმა დაამთავრა ლაპარაკი, ორკესტრმა ტუში დასცხო.

ვესტამ იმდენი იძრომიალა, რომ სულ ახლოს მივიდა ორკესტრთან, თან ჯუბის ეწეოდა, მომყევიო. ტრანსპარანტები — მსუბუქ ჩარჩოებზე გაჭიმული წითელი ქსოვილები — ნელა ირწეოდნენ მათ წინ, ზოგს გოგოს ფეხები მოუჩანდა, ზოგს ბიჭისა.

— იქაური პიონერები იქნებიან, — დაასკვნა ვესტამ.

— სადაური?

— მგონი ზოლკა რქმევია სოფელს. ზოლკელები იქნებიან.

ორკესტრმა დაამთავრა დაკვრა, ტაშიც შეწყდა, ქალი მიკროფონს მოშორდა და ტრანსპარანტებმაც იმავე რიგით დაიწყეს გასვლა, როგორც შემოვიდნენ. ყველა გაიკრიფა, მხოლოდ სტაფილო დარჩა უძრავად.

ახლა კაცი მიუახლოვდა მიკროფონს და ციფრების დასახელება დაიწყო, თუ რამდენ პროდუქტს აბარებდა კოლმეურნეობა სახელმწიფოს და რამდენს აწვდიდა მეზობელ კურორტს. მაყურებელს ვერ გაეგო, რა შუაში იყო აქ სტაფილო.

სწორედ ამ დროს, ფიცარნაგის უკანა მხრიდან ჩუმი ძახილი გაისმა:

— სტაფილო, ცერცეტო, ჩამოდი ძირს!

ტრანსპარანტი მაინც არ ინძრეოდა. მაშინ სცენა ენერგიული ნაბიჯებით გადმოჭრა ყელსახვევიანმა ბიჭუნამ, მხრებში მოჰკიდა ხელი გოგონას და შეატრიალა.

მაყურებლებმა გულლია სიცილით და ტაშით გააცილეს დარცხვენილი გოგო.

— მეოცნებე გოგო იქნება, ვინ იცის, ცხრა მთას იქით იყო, — თქვა ვესტამ და ზღვისფერი თვალები დაუნაღვლიანდა.

— რა მოგივიდა? — ჩაეძია ჯუბი.

— სახლი მომენატრა.

ჯუბის არაფერი უთქვამს. შეეძლო დაეხუჭა თვალები და მაშინვე წინ დაუდგებოდა დილმის მასივი — ფა-

რთო ქუჩების გასწვრივ მწყობრად დალაგებულ კოლოფებად რომ მოჩანს შორიდან.

კაცი ალბათ მორჩა ლაპარაკს, კვლავ იგრიალა ორკესტრმა და ჩანჩქერივით მოვარდნილი ტაში თანდათან აჰყვა მის რიტმს.

კვლავ ქალი მივიდა მიკროფონთან.

— ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ ჩვენი სტუმრები. მოსავლის დღესასწაულის მოსალოცად ჩვენთან ჩამოვიდნენ კოლეგები მოძმე რესპუბლიკებიდან. თქვენს წინაშე არიან უკრაინელი კოლმეურნეები.

ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალიშვილებმა სცენის ირგვლივ შემოატარეს და შემდეგ მასპინძლებს მიართვეს თავთავებით მოშრიალე ძნა.

ორკესტრი ფანტაზიას ასრულებდა უკრაინული ხალხური სიმღერების თემაზე. მაყურებელთა ტაში კი არ ცხრებოდა.

აი მათ საჩუქრები გადასცეს მასპინძლებს. მაყურებლებმა ტაში შეაგებეს უკან გამობრუნებულებს, ორკესტრმა ქართული საცეკვაო წამოიწყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟმა ხელები შემართა და ვითომდა ცერულით, როკვით შემოხაზა წრე და მერე ის კაბაში ჩაკარგული გოგო აიდევნა.

ჯუბი ახლაღა მიხვდა, ამ ცეკვამ მიახვედრა, რომ სტუმრები სულაც არ იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულნი, რომ ეს ყველაფერი ადგილობრივი ძალებით წარმოადგინეს.

გული ეტკინა.

„რატომ უნდა ეგონოთ საქმეში ჩაუხედავ მაყურებლებს, რომ ქართველები ასე უშნოდ ცეკვავენ? ყველას ხომ არ უნახავს ჩვენი ცეკვები“.

ვესტაც ამასვე ფიქრობდა, ძალუმად მოსწია და თავისკენ მოახედა ბიჭი.




— სტუმრები ბელორუსიიდან! — გამოაცხადა დიქტორმა.

ქალ-ვაჟს ნაქარგგულისპირიანი თეთრი ტანსაცმელი ეცვა. ქალიშვილი წინ მიდიოდა, გაწვდილ ხელზე სახეებიანი სუფრა ჰქონდა გადაფარებული, რომელზეც დიდი, დაბრაწული პური იდო.

ორკესტრი ბელორუსულ საცეკვაოზე გადავიდა.

ჯუბი მუსიკოსებს ადევნებდა თვალს. მოსირმული ფორმის ტანსაცმელი ეცვათ, ძალზე თავისუფლად ისხდნენ და ნაკლებად ან სულ არ ადევნებდნენ თვალს დირიჟორის ჟესტებს.

— სტუმრები საქართველოდან!

ვესტამ მხარი წაჰკრა და სცენისაკენ მიახედა. სცენაზე ამაყად შემოაბიჯა თეთრჩოხიანმა, მხარზე ყაბალახგადაგდებულმა სატევრიანმა ვაჟმა, მაღლა აწეულ ხახალში ხილი ეწყო. გვერდით ქალიშვილი მოჰყვებოდა, მტევნებიანი ჩხა ეჭირა. გამწვლიკული გოგო ჩანდა, საცეკვაო კაბაში იყო ჩაკარგული. არც ვაჟი ჰგავდა მთლად ქართველს.

— მიდი, აჩვენე ნამდვილი ქართული.

ჯუბიმ რატომღაც უკან დაიხია.

— მიდი, რა, გეხვეწები... მიდი და მეც გეცეკვები... მიდი, რა!

ჯუბიმ ორკესტრს მოავლო თვალი, ალტის დამკვრელ ახალგაზრდა კაცს შეენიშნა მისი მერყეობა და თვალით ანიშნა, გადი, რაღას უყურებო.

უცებ, თითქოს საიდანღაც მოვარდნილმა ქარმა აიტაცა იგი მიწიდან, ბეწვიანი ქუდი კარგად მოირგო თავზე, ტანსაცმელი შეისწორა და ლაღი ფრინველივით მკლავებგაშლილმა შემოუარა წრეს...

აი, წერტილი, საიდანაც ცეკვით უნდა შეიჭრას სცენის შუაგულში, და მერე სწრაფი გასმებით ნელ-ნელა მიუახლოვდეს ქალს...

ცეკვით სვლა დაამთავრა, გასმებზე გადავიდა და, როგორი იყო მისი გაკვირვება, როცა წინ გაიხედა და ვესტა დაინახა. ნაწნავჩამოშლილი გოგო მოხდენილად იდგა და გაწვევას ელოდა.

„ახსოვს კი ცეკვის მთლიანი ნახაზი?“ — გაუელვა

ფიქრმა, მაგრამ ახლა ფიქრის დრო არ იყო, ვესტა ხელის მტევნების მოხდენილი მოძრაობით მორონინობდა მის გვერდით. გაჩერების ადგილამდე მიჰყვა ვაჟს, მერე უკუსვლით წავიდა, ერთი-ორი წრიული ბრუნვა და ისევ გაიწვია ვაჟი.

ორკესტრმა კვლავ უმატა რიტმს, ტაშისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ქალ-ვაჟმა ცეკვით შემოხაზა წრე, მერე წამით შეჩერდნენ და დამდურებულებივით განერიდნენ ერთმანეთს, საპირისპირო მიმართულებით წავიდნენ ცეკვით... შეხვდნენ, ერთმანეთს შესცინეს და შუა წრეში შემოვიდნენ.

ჯუბი მიხვდა, დასასრული ვერ გამოუვიდოდათ და, ვიდრე ვესტა წრიულ მოძრაობებს აკეთებდა, ერთიორი ლამაზი გასმა მოასწრო და ვესტას აგრძნობინა, თავი დაეკრა მაყურებლისათვის...

კარგად გამოუვიდათ. ორკესტრი ჩაჩუმდა, მოცეკვავეები სირბილით მოადგნენ ფიცარნაგის კიდეს და პირდაპირ მაყურებლებში ისკუპეს...

ჯუბი ცნობისმოყვარეთა ჭყეტას განერიდა, განზე გადგა, ბეწვის ქუდი მოიხადა და გრილ ჰაერს შეუშვირა ოფლიანი შუბლი.

— სტუმრები მოლდავეთიდან! — გაისმა მიკროფონში.

მაყურებელთა ყურადღება კვლავ სცენამ მიიპყრო. ორკესტრმა ახლა მოლდავური საცეკვაო წამოიწყო, მაგრამ ცეკვით არავის უცეკვია.

ფიცარნაგის უკან, ხეებთან, რომლებიც კულისების როლს ასრულებდნენ, პიონერები იდგნენ. ჯუბიმ ის წითელთმიანი გოგო იცნო, სცენაზე რომ გაირინდა და სტაფილოო, გამოსძახეს. ისიც შეამჩნიეს. მაღალი ყელსახვევიანი ბიჭი ჯიქურ მიიჭრა მასთან და ხელი ჩამოართვა.

— მე ოსკარი ვარ, იოსებ რულინი. შეიძლება ვიცნობდეთ ერთმანეთს?

ბიჭს წინ წამოვარცხნილი ქერა ქოჩორი უფარავდა შუბლს, მინასავით გამჭვირვალე თვალები ჰქონდა. სადად ეცვა.

და ვიდრე ჯუბი უპასუხებდა.

— ქართველი ხარ? — კითხვა მოუნაცვლა ოსკარმა და ხელისგულით მოითელა მახვილი ცხვირის წვერი.

— ქართველი ვარ. თბილისიდან.

— შენც ქართველი ხარ? — მიუბრუნდა ოსკარი მოახლოებულ ვესტას.

— არა, მე ლატვიიდან ვარ. ქალაქი ტალსი გაგიგონიათ? იქა ვცხოვრობ.

— აბა ცეკვა სად ისწავლე?

— ჯუბიმ მიჩვენა ერთი-ორჯერ, დანარჩენი მიხვედრისა და ნიჭის საქმეა.

— თქვენ ამხანაგს ჯუბი ჰქვია?

— ჯუმბერი. ჯუმბერ კავსაძე. განა თვითონ არ გითხრა?

მოსაუბრეებს გოგონები შემოემატნენ. წითელთმიანი მაღალი გოგო, მოჭორფლილი ლაწვებითა და დიდრონი, ცისფერი თვალებით, მაშინვე იცნო ვესტამ.



— ელისა გორდიენკო გახლავთ, მეოცნებე და მელექსე. სხვათა შორის ხუთებზე სწავლობს. ეს კი მაიაა, — ოსკარმა ახლა თხელი ტანის მაღალ გოგონაზე მიუთითა, — კუშტ მაიას ვეძახით, რადგან იშვიათად იცინის.

დუმილი ჩამოვარდა.

— სანატორიუმში ხართ? — იკითხა ელისამ.

— ჰო, რაღაც—რაღაცებს ვმკურნალობთ, — ტუჩაბრეცით თქვა ვესტამ.

— მერე სკოლა? — საუბარში ჩაერია მაია.

— მასწავლებლები გვყვანან, ცალკე ჯგუფებად ვიკრიბებით კლასების მიხედვით და ისე ვმეცადინეობთ,— გაეპასუხა ჯუბი.

— ალბათ პირველ რიგში სამკურნალო რეჟიმს იცავთ და აბა ჩვენთვის რას მოიცლით, — ჩაილაპარაკა ოსკარმა და შუბლსქვემოდან გამოხედა ჯუბის.

ელისამ ვესტას მკლავში ჩაავლო ხელი და განდობილად ჰკითხა:

— შეგიძლიათ ჩვენს სოფელში ჩამოსვლა?.. აქედან დასავლეთით ორმოც კილომეტრზეა.

— შორი ექსკურსიები აკრძალული გვაქვს, მაგრამ თუ საქმემ მოითხოვა, როგორმე ვიშოვით დროს.

ყელსახვევიანი გოგო-ბიჭები სცენიდან ჩამოვიდნენ. ეტყობოდათ, იქ საბოლოოდ დაამთავრეს თავიანთი საქმე, რაკი ჩამოსვლისთანავე დაიფანტნენ.

— გრიზლი მოდის, — თქვა ელისამ და მათკენ მომავალი ბიჭისაკენ გაახედა ამხანაგები.

მართლაც რომ დათუნიას მიმოხრა ჰქონდა ჩაპუტკუნებულ, ლოყებღაჟღაჟა ბიჭს, ქერა წარბები და წამწამები ძლივს მოუჩანდა მწითურ სახეზე.

— ეს ჩვენი სასკოლო მუზეუმის გამგეა, გრიშა რისცოვი, ანუ გრიზლი, — უთხრა ოსკარმა ახლად გაცნობილებს და ბიჭი წარუდგინა.

— ვის რაში სჭირდება ჯერ არარსებული მუზეუმის გამგე? — თქვა ბიჭმა და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად ჯუბის.

— როგორ არარსებულის?

— ექსპონატებს ახლა ვაგროვებთ. დავიგვიანეთ, მაგრამ რას იზამ, სჯობს გვიან, ვინემ არასოდესო, ხომ გაგიგონიათ, — გრიზლი დინჯად ლაპარაკობდა, თითქოს თანამდებობას იფერებსო, — რომელკლასელები ხართ? — იკითხა ბოლოს.

— მერვე „წ"-ში ვართ, — უპასუხა ვესტამ სერიოზულად.

გრიზლიმ ეჭვით შეხედა გოგოს, ხომ არ მაპამპულებსო და მერეღა იკითხა:

— მერვე „წ" რაღაა?

— მერვე „წოლითრეჟიმიანი".

— აი სიახლეც ამას ჰქვია. სიახლე სწავლებაში: იკითხე და იგორავე, როგორც მოგეპრიანება, — ელისამ ტაში შემოჰკრა, — დიდებული რამეა.

გრიზლიმ წარბი შეიკრა, იფიქრა, იფიქრა და ბოლოს თქვა:

— წერას როგორღა ატარებენ, აი რა არის საინტერესო.

აქ უკვე ველარ მოითმინეს, ყველამ ერთხმად გადაიხარხარა. გრიზლი ახლაღა მიხვდა, რომ გააცურეს, უნდილად გაიღიმა და კეფა მოიფხანა.

ოსკარმა ატეხილი ხმაურით ისარგებლა და ჯუბი დაიმარტოხელა.

— დღეს ხომ კვირაა, შეგიძლია წამოხვიდე?.. კარგა ხანია ერთი გამოცანა შემოგვთავაზა წითელმა კერპმა — ვერ იქნა და ვერ ამოვხსენით. ენის მცოდნე კაცი გვჭირდება, ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ენების მცოდნე.

— მე მხოლოდ ქართული ვიცი, ვესტამ — ლატვიური. პალატაში კიდევ მყავს ამხანაგი, შუა აზიის ხალხთა ენებში ერკვევა. ისიც რომ წამოგვეყვანა, შეიძლებოდა რამეს გავმხდარიყავით, — უპასუხა ჯუბიმ.

მათ საუბარს ახლა სხვებმაც მიუგდეს ყური.

— წითელი კერპი ვინღაა? — თავის მხრივ იკითხა ჯუბიმ.

— ჩვენი სოფლის დასავლეთით ვრცელი ტაფობია გაჭიმული, რომელიც მდინარისპირა ბორცვებით [illegible]რდება, ამ ბორცვების გარიგებაში ერთგან კაჟისფერი პიტალო კლდეა აღმართული. მზის ჩასვლის შემდეგ, როცა დაისის მეწამული შუქი აფენია, ისე მოჩანს ჩამოწოლილ ბინდში, თითქოს ზღაპრული გოლიათი, წელამდე მიწაში ჩაფლობილი, გამოჰყურებს სოფელს. სწორედ მას ეძახიან წითელ კერპს. მის ქვეშ კატაკომბია, სადაც სამალავი ჰქონდათ მოწყობილი პარტიზანებს.

— ახლა მდინარის წყალი მიუშვეს იმ ტაფობში, ხელოვნური ზღვის დონე თანდათან მაღლა იწევს, თუ არ ვიჩქარეთ, წითელი კერპის გამოცანას წყალი წაგვართმევს, — დაუმატა ელისამ.

— ზღვის დონე კატაკომბს მისწვდება?

— არა, მაგრამ უფრო დაბლა კლდის ნამზღვლევი ყრია, — „დოტს" აყრია თავზე — ბეტონით ნაგებ ხანგრძლივად მოქმედ საცეცხლე წერტილს, იგი სულ ახლახან აღმოვაჩინეთ. იქ არის ეგ წარწერა.

— ახლა ჩვენი წამოსვლა არაფრით არ შეიძლება, საუზმეზე არ ვყოფილვართ და ალბათ მთელი სანატორიუმი ფეხზეა დამდგარი. ახლა მივალთ, საყვედურებს მოვისმენთ, ვისაუზმებთ და ფანისთან ერთად გამოვალთ, — უპასუხა ვესტამ.

— ფანისი ვინღაა? — გამოცოცხლდა გრიზლი.

— ამხანაგია. ის არის, წეღან რომ ვახსენე, შუა აზიის ხალხთა ენებში ერკვევა-მეთქი. — ჯუბიმ წასვლა დააპირა.

— აქ შეიძლება ველარ მოგვისწროთ, სადაც არის დამთავრდება წარმოდგენა. ყველაფერს დავალაგებთ და პარკის ბოლოს მივაყენებთ მანქანას, იქ დაგელოდებით, — ეუბნებოდა ოსკარი და თან გვერდით მიჰყვებოდა ჯუბის.

დანარჩენები სცენისაკენ წავიდნენ. მაყურებელი მომატებოდა სახელდახელოდ გამართულ ესტრადას. ამჯერად მეზობელი კოლმეურნეობიდან მოსული სტუმრები უჩვენებდნენ თავიანთ ხელოვნებას — ბერიკაცებისაგან შემდგარი გუნდი ხალხურ სიმღერას მღეროდა.

ვესტა გაჩერდა და ყური მიუგდო სიმღერას.

— კარგად მღერიან, არა? — მიუბრუნდა ჯუბის.

ბიჭი თავის ქნევით დაეთანხმა, მაგრამ არ გაჩერებულა. ვესტამ ბოლომდე მოისმინა და მერეღა გამოეკიდა წინ წასულ ჯუბის. უკანიდან ესმოდა, როგორ თანდათან მიწყდა ტაში და ბოლოს მიკროფონში გამოაცხადა ქალმა:

— ჩვენი შეხვედრა არ მთავრდება, ამხანაგებო. გელოდებით საღამო კონცერტზე, გორკის სახელობის კულტურის სახლში.

ხალხი ნელა დაიშალა. პიონერები ტრიალებდნენ დაცარიელებულ ფიცარნაგზე, მანქანაზე აწყობდნენ სასცენო მოწყობილობას.

●

— ამ ზღვას კერპის სარკე ჰქვია, აბა გადახედეთ, მოჩანს თუ არა მის სიღრმეში კერპის ანარეკლი, — ოსკარი შედგა და წყალსაცავს გახედა.



ჯუბი და ვესტა მხარდამხარ იდგნენ. მათ ქვემოთ ნელი ფრთონით მოიწევდა მოლურჯო წყალი და ზანტად ეხეთქებოდა ნაპირზე მოფანტულ კაჟისფერ ლოდებს. მის სიღრმეში მართლაც მოჩანდა მოტორტმანე კლდე.

ოსკარი წინ წავიდა და კლდის ნამზღვლევს ზემოდან შემოუარა.

— ამ ზაფხულს თურმე ბავშვები ომობანას თამაშობდნენ სანაპიროზე, ორმა მათგანმა ამ ნამზღვლევში სცადა დამალვა უკანდახევის დროს. სცადეს და დაიმალნენ კიდეც — „დოტი“ აღმოაჩინეს, ბეტონით ნაგები, ზღვას გასცქერის სათოფურით. „დოტები“ ზემოთაც არის კლდის ძირას ჩაბეტონებული, მაგრამ, ეტყობა, ეს იმიტომ წამოსწიეს წინ, რომ ხედვითი არე მეტი ჰქონოდათ. ხედავთ, აბა დააკვირდით, ეს ადგილი კონტროლს უწევს მთლიანად კერპის მისადგომებს.

ბავშვები ერთხანს გაუნძრევლად იდგნენ და სივრცეს გაჰყურებდნენ, აღმოსავლეთით თვალუწვდენი ტრამალი იყო გადაჭიმული, რომელზეც სულ ახლოს, თეთრი კოლოფების მწკრივებად მოჩანდა სოფელი ზოლკა. ნაცრისფერი გადაჰკრავდა მოხნულ სავარგულებს და ალბათ ნიადაგის ფერის მიხედვით შეარქვეს სოფელს ეს სახელი — ზოლკა. ბორცვების გასწვრივ, მდინარის კალაპოტის შეყოლებაზე ფოთლოვანი ტყე იყო ატეხილი.

ოსკარი დაიხარა, ლოდი ააცალა საძრომს და წინ გაუძღვა სტუმრებს. ხვრელი ვიწრო და ბნელი იყო, ოდნავ ანათებდა დარნებიდან შემოღწეული შუქი. ხოხვით მიდიოდნენ. მერე ხვრელი გაფართოვდა და ბეტონის ბლინდაჟში აღმოჩნდნენ.

— „დოტი“ პატარებმა აღმოაჩინეს, ეს წარწერა კი წითელ კვალმაძიებელთა ბედნიერი ნაპოვნია, — თქვა ელისამ.

— თქვენი? — იკითხა ჯუბიმ.

გოგონებმა ოსკარს შეხედეს.

— ეს არის ჩვენი მეთაური. წარწერაც მაგან შეამჩნია პირველად.

— აბა ვნახოთ, რა წარწერაა, — ჯუბიმ წინ წადგა ნაბიჯი.

„დოტში“ მკრთალი შუქი იდგა. ოსკარმა ლიფლიფა მიაშუქა მის გამურულ თუ ჩაბნელებულ კედელს. მკაფიოდ გამოჩნდა ბეტონზე ნაკაწრი მსხვილი ასოები — აღდგენილსა ჰგავდა. ტექსტი რუსული იყო, მხოლოდ ბოლოში მოჩანდა სხვა შრიფტი.

«Здесь стояли насмерть неразлучные друзья. ВДВ (воздушно-десантные войска) Валера, Дениска и Валера (ვალიკო გელიაშვილი)“.

ქართული ასოებით სულ ბოლოს ფრჩხილებში მინაწერი ვერ ამოეკითხათ ზოლკელ პიონერებს და ახლა მოუთმენლად ელოდნენ სტუმრების სიტყვას.

ჯუბი თითქოს თვალებს არ უჯერებდა, გაოცებული დასცქეროდა ნაკაწრს, სუნთქვა ეკვროდა მღელვარებისაგან. აბა როგორ წარმოიდგენდა, რომ აქ შეხვდებოდა თანამემამულეს, ოდესღაც, ომის ბობოქარ დღეებში ტყვიის წვიმაში, ცვამლიანი ტრამალებით მომავალს...

— ქართულია? — ჩურჩულით ჰკითხა ოსკარმა.

— ჰო, — ძლივს მოითქვა სული ჯუბიმ.

— რაო?

— ვალიკო გელიაშვილი...

— მეორე ვალერას გვარია ალბათ... ვალერა — ვალიკო, რა თქმა უნდა, ერთი და იგივეა, — თავისთვის ვარაუდობდა გრიზლი.

— გრიშა, მგონი, შენ გაქვს ის ჩანაწერი, არა, ლიდია ანდრეევნასაგან რომ მოვიტანე, წითელ კერპზე? — ჰკითხა მაიამ.

— საქაღალდეში მაქვს, — დინჯად წამოიწყო გრიზლიმ. — იმ ჩანაწერის მიხედვით, ადრე აქ საცეცხლე ზღუდეები სჭერიათ გამავალ ნაწილებს, როგორც ჩვენებს, ისე გერმანელებს. სულ ბოლოს კი, როცა გერმანელებს ეს ტყეები გაუცხრილავთ, გადარჩენილ პარტიზანებს აქ შემოუფარებიათ თავი... ასე რომ, ამ წარწერის როდინდელობის დადგენა არც ისე ადვილია.

— მართლა საჰაერო დესანტი ხომ არ მოქმედებდა ამ რაიონში?

— არა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გვითხრეს, სადესანტო ჯარებს მდინარე ვეჩერნიცასთან წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღიათო.

— აბა, აქ რომ წერია, — სამხედრო-საჰაერო დესანტიო? — არ მოეშვა ვესტა.

— რაკი სახელების პირველი ასოები ემთხვევა, ალბათ იანგლეს ბიჭებმა და ეგრე გაშიფრეს, რა იცი.

— იმ პარტიზანებისაგან, სულ ბოლოს აქ რომ შემოაფარეს თავი, აღარავინ დარჩა ცოცხალი? — იკითხა ჯუბიმ.

აქამდე დაფიქრებით მდგარმა ელისამ, სათოფურიდან ზღვას რომ გაჰყურებდა, ახლაღა ამოიღო ხმა.

— დეიდა გლიკერია ამბობდა ხოლმე, გერმანელებმა პირდაპირი დამიზნებით დიდი ყალიბის ჭურვი მოახვედრესო გამოქვაბულს... მხუთავ-გაზიანი შიგთავსი ჰქონია ჭურვს... მხოლოდ ერთი გადარჩენილა. იმ მომენტში საიდუმლო ხვრელით ყოფილა ჭაობის კატაბარდებში გასული, ალბათ წყლის მოსატანად. ისიც უკვალოდ გამქრალა.

— დეიდა გლიკერია ურევდა ბოლო ხანებში, შეუნდოს ღმერთმა, ტყუილებიც იცოდა. ასე რომ ყოფილიყო, ოდესმე მაინც გამოჩნდებოდა ის მებრძოლი. ან საიდან იცოდა დეიდაშენმა, რომ მხოლოდ ერთი მებრძოლი იყო გასული საიდუმლო ხვრელით და არა ხუთი? — თავდაჭერით ამბობდა გრიზლი.

ელისას არ უპასუხია, კვლავ სათოფურიდან გასცქეროდა ზღვას და რაღაცაზე ფიქრობდა.

„დოტიდან“ გამოსულები ახლა ზევით წავიდნენ წითელი კერპის კატაკომბისაკენ, რომლის ორივე მხარეს, კლდეში რკინაბეტონით იყო ჩაშენებული ხანგრძლივი საცეცხლე წერტილები.

ბიჭები ჯერ გარედან ათვალიერებდნენ ტყვიამფრქვევის სათოფურებს, მერე კატაკომბში შევიდნენ და ახლა ჯიბის ლიფლიფამ აафახულა თვალები.

კატაკომბი ღრმა იყო და ბნელი. დატოტვილი გასასვლელები გარეთაც მიემართებოდა ბეტონის ბლინდაჟებისაკენ.

— მარჯვენა „დოტისაკენ“ აქეთ მოდის გზა, — ოსკარმა ლიფლიფის შუქი მოატარა ღრმულში, — ეს კი, დაკბილული საფეხურებით რომ ეშვება დაბლა, ჭაოზებისაკენ საიდუმლო გასასვლელია. მოგეხსენებათ, ამ კლდესა და ბორცვებს გაუვალი ჭაობები აკრავთ უკანა მხრიდან. აქამდის იყო გაუვალი, თორემ ახლა ზემოდან მოსდევენ და მიწას აყრიან მანქანებით.

— ხიდის მხრიდან, ჯებირის დაყოლებაზე, სულ აყალო მიწა ყრია, ხეები კი ხეებად რჩება. მალე ლამაზი ტყე გვექნება, ზღვისპირა ტყე და ვისეირნებთ, — ამბობდა ელისა იდუმალი ხმით, თითქოს ოცნებობსო.

„ვინ იცის, აი ასე, როგორც ახლა მე, დააბიჯებდა ამხანაგების გვერდით ვალიკო გელიაშვილი და მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშიც ნათელ მომავალზე ოცნებობდა“, — ფიქრობდა ჯუბი.

ბავშვები ლანდებივით, ფეხაკრეფით დადიოდნენ. ალბათ ყოველ მათგანს თავისი საფიქრალი ჰქონდა, წითელი კერპის მიერ შეთავაზებული.

მთავარ ქვაბს მიაღწიეს და მერე უკან გამობრუნდნენ, აშმორებულ ჰაერს გამოეცალნენ.

გარეთ აგრილებულიყო, ღრუბლები მოსძალებოდაცას, ტყვიისფერი გადაჰკრავდა წყალსაცავს. მდინარისპირა ბორცვებზე გაცვენილი ფოთლების თბილი ნამქერი ტრიალებდა, ალბათ სიო თუ ქროდა, ქარბორბალა თუ დაძრწოდა მაღლობებზე...

აქეთ რომ მოდიოდნენ, ნავებით გადმოსცურეს წყალსაცავი, ახლა კი სხვა გზა აირჩია ოსკარმა — სანაპიროს გაუყვა და გაკორდებული გორაკებისაკენ წავიდა. მდინარის მხრიდან ტყე ეკრა გორაკებს. სიჩუმე იდგა ტყიანში, შეშინებულებივით თრთოდნენ აცივების მოლოდინში ფერწასული ვერხვები, ფერადი ჩიტებივით სხდებოდნენ მოლზე მათი ფოთლები.

თითქოს ბავშვებსაც გადაედოთ ტყის დუმილი, უხმოდ მიდიოდნენ. ჯუბიმ შენიშნა, რომ ძმათა სასაფლაოს უახლოვდებოდნენ...

თეთრი ქვებითა და წვრილი ლოკოკინების ნიჟარებით მოფენილი გაკორდებული ტყისპირი თანდათან შემაღლდა...

ყორღანებზე ყოჩივარდებივით წითლად იყვნენ გადაპენტილი ვარსკვლავები. ყოველ ყორღანზე თითო ჯარისკაცური ობელისკი იყო აღმართული — პაწია ფიცრებით შეკრული მცირე პირამიდა, თხემზე ვარსკვლავით.

მათ მიღმა კი უსახელო ბორცვები მოჩანდა. ოსკარი შედგა და სტუმრებს მიუბრუნდა:

— არავინ იცის, ვინ ასვენია ამ საძმო საფლავებში, თვითონ გერმანელებს დაუმარხავთ. ვარაუდობენ, რომ აქ სწორედ ის პარტიზანები განისვენებენ, ფაშისტებმა რომ გაზით ამოჟუჟეს კატაკომბში. მათი ვინაობა დაუდგენელია.

ბავშვები თავდახრილები იდგნენ უსახელო საფლავებთან, მხოლოდ ელისა არ ჩანდა მათ შორის. გვიან მოისაკლისეს.

წითელთმიანი გოგო ტყიდან გამოვიდა, თმაგაწეწილი ალსა ჰგავდა. ყვავილების დიდი თაიგული ეჭირა ხელში და სწრაფად მოდიოდა.

— მანანებს ჯარისკაცებს დავუტოვებ, — ჩაილაპარაკა თავისთვის და ლალისფერ-მოვარდისფრო ყვავილების კონა პაწია ობელისკებთან დატოვა, — ესენი კი პარტიზანებისათვის წამოვიღე, ამათაც ხომ ეკუთვნით ვარსკვლავები... შეიძლება ბევრ მათგანს გმირის ვარსკვლავიც ეკუთვნოდა, ვინ იცის, — ამბობდა ნაღვლიანად.

თავდახრილი დადიოდა ყორღანებს შორის და ხუთფურცელა, ხუთქიმიან თეთრ ვარსკვლავებს არიგებდა.

— რა ყვავილია? — ჰკითხა ვესტამ.

— პარნასურაა, ჩვენთან ბელოზორს ეძახიან, ჭაობებთან ხარობს და ამ დროს იცის აყვავება.

ერთხანს მდუმარედ იდგნენ. ჩამოვარდნილ სიჩუმეში მკაფიოდ ისმოდა ტყის ჩუმი შრიალი. თითქოს ის

გარდასული ხმები შეენახა ჰალას და ახლა ლამობდა მათ გაცოცხლებას.

ტყისპირი მომაკვდავი ფოთლების ნაზი ფერებით ყვაოდა. გზის გაყოლებაზე ყვითელი ფარჩებით შემოსილი ტანადი არყები გამოფენილიყვნენ, აქა-იქ კენარ ნეკერჩხლებსაც მოუჩანდათ წითელი თავშლები...

მოწიწებით თავდახრილები იდგნენ ხეებიც, თითქოს სცხვენოდათ, რომ ნაადრევად გაეხადათ ძაძები და აფერადებულები გამოჩენილიყვნენ საძმო საფლავებთან.

ბავშვები ფიქრდამძიმებულნი გასცდნენ სასაფლაოს და ქვემოთ დაუყვნენ ბილიკს ვარცლა ხევისაკენ.

— ამ ხევში ადრე ზოლკა მოედინებოდა, ჩვენი სოფლის სეხნია ნაკადული. სოფელზე ისევ ძველი კალაპოტით მოედინება, მერე კი არხს ერთვის და ვეჩერნიცას წყალთან ერთად ხელოვნურ ზღვას ემატება, — უთხრა ვესტას კუშტმა მაიამ ხმამაღლა, რომ სხვებსაც გაეგონათ.

— ვეჩერნიცა... ლამაზი სახელია, ვინ დაარქვა, ნეტა? — თავისთვის ჩაილაპარაკა ვესტამ და ცას შეხედა მეოცნებე თვალებით.

— ძველადაც ხომ იყვნენ პოეტები, — გამოეპასუხა ელისა, — საღამოს ბინდში რომ გახვიდე წითელ კერპთან, ცოტა შეიმაღლო და ტყიანს გადახედო, იისფერი შუქით ანათებს წყალი. ვეჩერნიცა ხომ იაა ბოტანიკის ენით, ღამის ია... აი რატომ დაურქმევიათ ეს სახელი.

ელისას აუმღვრეველი ლაჟვარდი ენთო ფართოდ გახელილ თვალებში და მზად იყო მისი მგრძნობიარე არსება, თანაბრად გაენაწილებინა ყველაფრისთვის ეს შუქი... და ამასთან ყველაფრიდან იღებდა საფიქრალს მისი პოეტური სული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



## არგენტინის პიონერთა კავშირი

ეს კავშირი დომინიგო ფაუსტინო სარმიენტოს სახელს ატარებს. კავშირს ძალზე მძიმე პირობებში უხდება მუშაობა — პოლიცია კრძალავს საჯარო შეხვედრებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს. მიუხედავად ასეთი რთული პირობებისა, პიონერები მაინც ახერხებენ ბევრი მასიური ღონისძიების ჩატარებას, მაგალითად, მათ მოსახლეობაში შეკრიბეს ფული არგენტინის ახალგაზრდობის დელეგაციის მსოფლიო ფესტივალზე გასაგზავნად; დაეხმარნენ გაფიცულ რკინიგზელებს, მუშებს, წყალდიდობით დაზარალებულთა ოჯახებს.

კავშირის მთავარი ამოცანაა, აღზარდოს ჯანმრთელი, მტკიცე თაობა, რომელიც შეძლებს არგენტინის პროლეტარიატის საქმის გაგრძელებას.

უკანასკნელ ხანებში კავშირის მუშაობა მიმდინარეობდა დევიზით: „ვეძებთ ჩვენს მეგობრებს". სულ ახალი და ახალი პიონერებით შეივსო „პიონერთა კავშირი", კიდევ უფრო გამრავლდა და გაიზარდა მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლ ბავშვთა ორგანიზაციის რიგები.

## ბელგიის პიონერთა კავშირი

ეს პროგრესული საბავშვო ორგანიზაცია ბელგიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშაობს. 1953 წელს კომპარტიის ყრილობაზე გადაწყდა, პიონერთა კავშირი ცალკე, დამოუკიდებელ ორგანიზაციად გამოცხადებულიყო.

ორგანიზაციაში შესვლისას პიონერები ფიცს დებენ: „პირობას ვიძლევი, რომ ყველგან და ყველაფერში პიონერი ვიქნები. ვიქნები დისციპლინიანი, ინიციატივიანი, გავიკაჟებ სხეულსა და სულს, მეყვარება სამშობლო, ვიქნები მსოფლიოს ყველა ხალხის მეგობარი, პატივსა ვცემ იმათ, ვინც აშენებს ამ ქვეყანას".

მართალია, ბელგიის პიონერთა კავშირი მთავრობის მიერ აღიარებულია, მაგრამ, მაინც პიონერებს რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა.

ბელგიის პიონერთა ორგანიზაციაში უმთავრესად მუშათა შვილები არიან გაერთიანებული. მათ ბავშვობიდანვე იციან, თუ როგორ უჭირს ცხოვრება უბრალო ხალხს: ბევრი ოჯახი ან მთლად უმუშევარია, ან ძალზე მცირე ხელფასით კმაყოფილდება.

პიონერები ხშირად აგროვებენ ფულს, პროდუქტს და მაღაროელთა, რკინიგზელთა, პოლიტიკურ პატიმართა ოჯახებს ეხმარებიან. ასე რომ, ბელგიელი პიონერები ადრეული წლებიდანვე ებმებიან პოლიტიკურ ბრძოლაში.

პიონერებს აცვიათ თეთრი პერანგი, ბიჭებს შავი შარვალი, გოგონებს ქვედა კაბა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია ხშირად იღებს წერილებს, რომელთა ავტორები გვთხოვენ ვაუწყოთ, მათთვის საყვარელ ამა თუ იმ ქართულ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი, სინამდვილიდან არის აღებული თუ მწერლის მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია, ან — ხომ არა კუავდათ ლიტერატურულ პერსონაჟებს პროტოტიპები და ა. შ.

ძვირფასო ბავშვებო, ვასრულებთ თქვენს თხოვნას — ცნობილი ქართველი მწერლები ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან გაგესაუბრებიან იმის თაობაზე, თუ როგორ ქმნიდნენ ისინი საყოველთაოდ აღიარებულ ქმნილებებს, ამჯერად გთავაზობთ ღვაწლმოსილი მწერლის როდიონ ქორქიას საუბარს.



# რატომ დავწერე „მარილის აკვანში“

## როდიონ ქორქია

სკოლებში თუ სამკითხველოებში, პიონერებთან შეხვედრისას, ხშირად მეკითხებიან: ამ მოთხრობის გმირი ბავშვი ნამდვილად იყო თუ გამოგონილიაო?

პიონერებმა იციან, მოთხრობების პერსონაჟები ან გამოგონილია, ან სინამდვილიდანაა აღებული. ორივე შემთხვევაში მოთხრობის პერსონაჟი ან თანაგრძნობას იწვევს, ან გაკიცხვას. ეს დამოკიდებულია იმაზე, ავია თუ კეთილი ის საქმე, რომელსაც ემსახურება ნაწარმოების პერსონაჟი.

ჩემი მოთხრობის გმირი სამოქალაქო ომის გმირია. ეს ის დრო იყო, როცა ოქტომბრის რევოლუციას სამოქალაქო ომი მოჰყვა. მაშინ ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო. შეებრძოლნენ ერთმანეთს ძველი და ახალი. ძველი კაპიტალისტებისა და მემამულეებისა იყო, ახალი — მშრომელი ხალხისა. ძველს ევროპის იმპერიალისტები ეხმარებოდნენ, ახალი მხოლოდ თავისი ძალებით იბრძოდა. იბრძოდა ყველა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. აი ამ პატარა მებრძოლების ერთ-ერთი წარმომადგენელი გმირი მყავს გამოყვანილი ჩემს მოთხრობაში „მარილის აკვანში“. ის ნამდვილად იყო. ნამდვილად იყვნენ ასეთები წითელ არმიაში.

ისტორიკოსების მიერ გამოანგარიშებულია, რომ წითელ არმიაში ახალგაზრდობის რაოდენობა 58 პროცენტს უდრიდა. ამ რიცხვში შედიოდნენ 12-14 წლის ნორჩი მებრძოლებიც.

მე მაშინ წითელი არმიის ერთ-ერთი მეთაური ვიყავი და ასეთი ნორჩები ჩემს ნაწილშიაც იყვნენ. მახსოვს ასეთი შემთხვევა. მოვიდა ჩემთან ერთი ბიჭი, სახელად პეტკა, და მითხრა: შაშხანა მომეცი, თეთრებს უნდა ვებრძოლოო. (თეთრებს რევოლუციის მტრებს ვეძახდით. ჩვენ კი, ვინც რევოლუციას ვიცავდით, წითლებს გვეძახდნენ. ამიტომ ერქვა ჩვენს არმიას წითელი: ყველა ნაწილს წითელი ფერის დროშა ჰქონდა). ჰოდა, ვკითხე: რამ მოგიყვანამეთქი ჩვენთან? მამა დამიხვრიტესო, დედა ცემით მომიკლესო დონის მაღაროებში. ბევრი ჩვენი მუშა დახოცესო თეთრებმა, ამიტომ მოვედი თქვენთან. შური უნდა ვიძიო, საბჭოთა ხელისუფლება უნდა დავიცვაო... ასე სთქვა იმ ბავშვმა, ასეთი სიტყვებით ჩადგა წითელი არმიის რიგებში...

ეს არ იყო ერთეული ბავშვის მოსვლა. ნორჩი თაობა იდეურად მოვიდა რევოლუციის დასაცავად. ჩვენ, უფროს თაობას, არ გვიკვირდა ეს. იმ რაიონებში, სადაც სამოქალაქო ომი გრიალებდა, ბევრი ბავშვი დაობლდა და ეს ბავშვები მოვიდნენ მეორე დედასთან, რევოლუციასთან. ამ ბავშვებში ზოგი სანიტარი იყო, ზოგი მზვერავი, ზოგი მეკავშირე. წყდებოდა საკითხი: ვინ— ვის? იმ ბავშვებში, განსაკუთრებით კომკავშირელებში ბევრი იყვნენ გოგონებიც. იბრძოდნენ ვაჟკაცურად. ბევრი დაიღუპა. დაიღუპა ჩემი მოთხრობის პატარა გმირიც...

ის დაიღუპა პერეკოპზე 1920 წლის 8 ნოემბერს, სივაშზე გადასვლისას. მოთხრობიდან თქვენ იცით, თუ როგორ მოხდა ეს. ახლა კი გეტყვით, რატომ დავწერე ეს მოთხრობა.

დავწერე იმიტომ, რომ თქვენ იცოდეთ, როგორი გმირი წინაპრები გყავდათ და რა ისტორიულ ქარცეცხლში იყო ჩაბმული თქვენი შორეული წინაპარი თაობა. ის თაობა საბჭოთა ხელისუფლებას შეგნებულად, იდეურად იცავდა. მან საერთო-სახალხო საქმეში თავისი კეთილშობილი წვლილი შეიტანა. ჩემს პატარა გმირს დედა უყვარდა, უნდოდა გაეხარებინა თავისი საქციელით, ესეც იმის ხასიათის ერთი კეთილი თვისებაა...

პერეკოპზე მარილიანი სივაშის გადალახვისას, ის პატარა გმირი თავის ქვეყანას იცავდა უცხოელი მოძალადეებისაგან. ეს ხომ ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა ქვეყნის, ისტორიული წარსულია? ვაჟკაცური, საამაყო ისტორიული წარსული კი უნდა ვიცოდეთ. ეს ხომ ლამაზი რომანტიკაა? ასეთი რომანტიკა ამდიდრებს და აფაქიზებს ჩვენს სულიერ ცხოვრებას...

აი, ამიტომ დავწერე მე „მარილის აკვანში“...

# უგემური



გია პაპუაშვილი

მოთხრობა

მხატვარი ჯ. ჭანიშვილი.

იმ საღამოსაც სალაყბოზე ვისხედით და ვყვებოდით ძველ ამბებსა და ახალ ჭორებს. მერე ვიღაცამ თქვა, ეს ბალღები ჩემ ბაღს ძალიან შეეჩვივნენ და, ხელში თუ ვინმე ჩამივარდა, იცოდეთ, ვისიც გინდა იყოს, ტყავს გავაძრობო.

— რა მოხდა, კაცო, — გაეპასუხა საბა პაპა, — ჩემი ბაღიც მაგ დღეშია, მაგრამ ბალღებს ხილის ჭამას როგორ დავუშლი? ხილს უთქვამს, პირი რომ მქონდეს, მე თვითონ შევჭამდი ჩემ თავსო.

იმ დროს ერთმა ზონზროხა კაცმა ჩამოიარა, რომელსაც ჩვენი სოფლელები უგემურს ეძახიან. გამარჯობა გვითხრა და შემოგვიერთდა: რა ამბავია, კაცებოო?

აი ბაღ-ბოსტანი რომ გაგვიჩანაგეს ბალღებმა, იმაზე ვლაპარაკობთო,—მიუგეს.

— ეგ თქვენ იდარდეთო, — ჩაიცინა უგემურმა.

— რადა, კაცო, შენ რაღა ნაკლები ბაღი გაქვს, რატომ არ გენანებაო?

— ჰაი, ჰაი, რომ ნაკლები არა მაქვს, მაგრამა... — ისევ ჩაიცინა და დიდი ამბით მოათვალიერა ხალხი.

— მაშ რატომ არ გეშინია, ძაღლს ხომ არ აბამ ბაღში?

— ძაღლს არა, ტოროლა! ბაღიცა მაქვს და მოვლაც ვიცი.

— როგორ იცი, კაცო, გვასწავლე, ბალღებისაგან რომ მოსვენება აღარა გვაქვს.

— თავი გაანძრიეთ და მოიფიქრეთ, მხრებზე ტყუილად ხომ არ გაბიათ, თქვე კაი ხალხო. მე რომ არ ვიყო, რა გეშველებოდათ?

— გვითხარი, შენს იმედზე ვართ, კაცო, რაღას გვაწვალებ.

— კარგი და გეტყვით. შარშანწინა... აი, არხი რომ გამოიყვანეს ჩვენს ბოლოზე, მაშინა, ბაღსა ვრწყავდი, — ღიმილით დაიწყო უგემურმა, — ჰოდა, აეგრე ვრწყამ. გავიხედე და ღობის ჭახაჭუხი შემომესმა. იქვე ჩავიმალე და გავისუსე. ვხედავ, ვიღაცა ბიჭი გადმოხტა ღობიდან, გაიხედ-გამოიხედა, ვერ დამინახა და ფრთხილად გავიდა მსხალთან. მაშინ სულ მკვახე იყო ის მსხალი. მისწვდა ერთ ტოტსა, ერთი ათიოდე მოწყვიტა, ჯიბეებში ჩაილაგა და გაიქცა — ღობეზე უნდა გადახტეს. აბა, ეხლა თუ ვაჟკაცი ხარ, დაიჭირემეთქი, ვუთხარი ჩემ თავსა და ზედ ღობეზე წავტაცე ხელი პერანგში. გადმოვათრიე და ვეკითხები: ვისი ბიჭი ხარმეთქი?

ქალაქელი ვარ. სტუმრადა ვარ ჩამოსულიო.

ვისთან-მეთქი?

არ მითხრა.

ვიფიქრე, ისეთი რა ვუყო, რომ თავის დღეში აღარ დაავიწყდეს-მეთქი. ვიფიქრე და მოვიფიქრე კიდეც.

უგემურმა ისევ შეათვალიერა ხალხი.

— რა მოიფიქრე, კაცო?

— ყველაფერს გიამბობთ... ჰოდა, არ მითხრა, ვისთან იყო, და მეც აღარ შევწუხებულვარ. ამოვაყრევინე ჯიბეებიდან ის მკვახე მსხალი და ვკითხე, რად გინდა-მეთქი?

უნდა ვჭამოო.

აბა, მიდი და ჭამე-მეთქი!

ბიჭმა ჯერ მე შემომხედა და მერე მსხალი აიღო. აიღო და მაშინვე ჩაკბიჩა. ჩაკბიჩა, მაგრამ ვაი იმ ჩაკბეჩასა: რკინასავით იყო ის მკვახე მსხა-

ლი. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და როგორც იყო, შეჭამა ერთი ცალი. მე კიდე მეორე მივუმარჯვე. აღარ მინდაო, იუარა, მაგრამ ცოცხალი თავით ვერ წამიხვალ, თუ არ შეჭამ-მეთქი, — იცინის უგემური. — მეტი რა უნდა ექნა, შეჭამა მეორეც. მერე მესამე მივუმარჯვე, მერე — მეოთხე და ამასობაში სულ შევაჭამე. ეგე ეხლა წადი და სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიც არ დაგავიწყდეს-მეთქი.

მეორე დღეს გავიგე, თურმე იმ ღამეს ისე ასტკივნოდა მუცელი, სულ წივილ-კივილით აუკლია იქაურობა. ის იყო და ისა, იმის შემდეგ ჩემ ბაღში აღარავინ გადმოპარულა.

უგემურმა ამბის მოყოლა გაათავა და ისევ ღიმილით მოათვალიერა ხალხი. ხალხის შუბლზე კი საპასუხო ღიმილის ნაცვლად კოპებს წააწყდა. ისხდნენ ბერიკაცები კოპებშეკრულნი და ბრაზით სავსე თვალებით უყურებდნენ უგემურს. ის კი ადგა და წასვლის წინ ასე დაამატა:

— ა ესე უნდა ბაღ-ბოსტნის მოვლა, მაშა!

როცა წავიდა, ბერიკაცებმა თავები გააქნიეს, მართლა უგემურია ეგ ღმერთგამწყრალიო, მერე გაჩუმდნენ და დაშლამდე აღარ ამოუღიათ ხმა.

# შვიდი ძმა

ზღაპარი

ერთ სოფელში შვიდი ძმა ცხოვრობდა. რადგან მალე ზამთარი მოაკაკუნებდა, ერთ მზიან შემოდგომის დღეს მათ ქალაქში გადაწყვიტეს წასვლა, რათა თბილი სამოსი ეყიდათ.

უფროსმა მეთვალყურეობა დაივალა და მშობლებს დაჰპირდა, მალე და უვნებლად დავბრუნდებითო.

გზას გაუდგნენ და რადგანაც ქალაქისკენ პირველად მიდიოდნენ, რასაც კი დაინახავდნენ, ყველაფერი აკვირვებდათ.

ჰოდა, გზაში ჭა რომ შენიშნეს, მისცვივდნენ და კიდეს გადაეყუდნენ. ჭის ფსკერზე ცოტაოდენი წყალი იყო და მას დაუწყეს ცქერა.

უფროსმა გაიფიქრა: ,,ესენი ხომ მე მყავს ჩაბარებული და შიგ რომ ვინმე ჩავარდეს, რაღა გვეშველება. იქნებ უკვე ჩავარდა კიდეც ჭაში... უნდა დავითვალო‘‘...

დათვლა დაიწყო და ექვსიღა დაითვალა. უმცროსს დაათვლევინა, იმანაც ექვსი დათვალა. დაღონებულები ჩამოსხდნენ ჭასთან. ,,ჩვენ ხომ შვიდნი ვიყავით?‘‘ — გაიფიქრა თითოეულმა მათგანმა.

ისინი, რა თქმა უნდა, შვიდნი იყვნენ, დამთვლელს თავისი თავის დათვლა ავიწყდებოდა.

უფროსი ჭასთან მივიდა და შიგ ჩაიხედა. წყალში რას დაინახავდა? მხოლოდ თავის გამოსახულებას...

,,რა თქმა უნდა, ჩავარდა, ახლა მისი ამოყვანაა საჭირო‘‘ — გაიფიქრა მან.

მაგრამ რითი ამოეყვანათ, როდესაც არც თოკი და არც კიბე არ ეგულებოდათ?

— მაშ ასე, — უთხრა უფროსმა ძმებს, — მე ჭის კიდეს ჩავეჭიდები, თქვენ კი მე, და ასე ამოვიყვანოთ.

მაგრამ ექვსი კაცის გაძლება ადვილი გგონიათ? როგორც კი უმცროსის რიგი დადგა და მხრებით დაიწყო ჩასვლა, უფროსმა ვერ გაუძლო და წამოიყვირა:

— ვაი! ვვარდებით!!!

შვიდივე ჭის ფსკერზე ამოჩნდნენ. დახრჩობით არ დამხრჩვალან, ცოტა იყო იმ ჭაში წყალი, მაგრამ სულ გაილუმპნენ.

ისევ უფროსმა ითავა მათი ჭიდან ამოყვანა. ის ყველაზე დიდი და ძლიერი იყო. ძმები მას მხრებზე შეადგნენ და ისე ამოვიდნენ. ბოლოს უფროსიც ამოიყვანეს.

რადგანაც ერთიანად დასველდნენ, ტანსაცმელი გაიხადეს და გასაშრობად მზეს მიუფიცხეს, რა თქმა უნდა, ქუდებიც მოიხადეს.

უნდა გენახათ მათი გაოცება და სიხარული, როდესაც შვიდი ქუდი და შვიდი პერანგი დაინახეს.

და იმით გახარებულნი, რომ ისევ შვიდნი გახდნენ, სიმღერით გააგრძელეს გზა.

ფრანგულიდან თარგმნა გ. ლოლაძემ.






**ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 1**

# სწავლაც, შრომაც, მეგობრობაც

ნორჩმა კორესპონდენტებმა აცნობეს რედაქციას მათი რაზმის ერთი პიონერის ამბავი. ეს პიონერი, სახელად თამაზი, პირველი კლასიდანვე ხუთოსანი მოსწავლე ყოფილა, მაგრამ მხოლოდ სწავლას გადაყოლილი. ის თურმე გაურბის პიონერულ საქმიანობას. ჯართის შეგროვების დროს თავის ტკივილი მოუმიზეზებია. ეტყობა, მაინც რცხვენოდა ამხანაგებისა და თავის გასამართლებელ საბუთს ეძებდა, დედამისს კი მეტი გულახდილობა გამოუჩენია და ბავშვებისთვის პირდაპირ უთქვამს: ჩემ შვილს ჯართთან რა ხელი აქვს, ჯართი იმან შეაგროვოს, ვინც ცუდად სწავლობსო.

ყველაზე ცუდი და დამაფიქრებელი მაინც ის ამბავია, რომ თამაზს გულგრილობა გამოუჩენია ამხანაგისადმი, რომელმაც ფეხი მოიტეხა და ორი თვე გაკვეთილები გააცდა. ამხანაგები რიგ-რიგობით დადიოდნენ მასთან შინ და ამეცადინებდნენ, რომ სწავლაში არ ჩამორჩენილიყო, თამაზი კი მხოლოდ ერთხელ მისულა ამხანაგის სანახავად და ისიც ცოტა ხნით.

ამხანაგები სწორად ფიქრობენ, რომ თამაზისთანა პიონერი სანიმუშოდ ვერ ჩაითვლება. მას დახმარება და სწორ გზაზე დაყენება სჭირდება, თორემ ასე ის თავკერძა, ეგოისტი გაიზრდება, უმეგობროდ დარჩება და ცხოვრებაში უბედური იქნება.

პიონერებმა რედაქციას მომართეს თხოვნით, მსჯელობის საგნად გვექცია თამაზის საქციელი. საკითხი მართლაც მტკივნეული იყო და რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა, რომ პიონერების წერილი მკითხველთა სამსჯავროზე გამოეტანა.

როგორც მოსალოდნელი იყო, წერილს ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ბევრ რაზმში საგანგებო შეკრებაც მოუწვევიათ და უმსჯელიათ თამაზის საქციელზე. ჩანს, თამაზისთანები სხვა სკოლებშიც ყოფილან. უფრო უარესიც, — ზოგი თურმე კარგადაც არ სწავლობს და პიონერულ საქმიანობასაც თავს არიდებს. მაგრამ ასეთების რიცხვი მცირეა. სამაგიეროდ, ბევრია ჭეშმარიტად კარგი პიონერი, — სწავლაშიც მოწინავე და პიონერულ ორგანიზაციაშიც აქტიური, ინიციატივიანი, ამხანაგების ნამდვილი სული და გული.

წერილებში დასახელებულია ბევრი ასეთი პიონერი, მოყვანილია მათი საქმიანობისა და მეგობრული ურთიერთობის კონკრეტული მაგალითები. ნორჩი კორესპონდენტები ურჩევენ თამაზს, მიბაძოს ასეთ პიონერებს.

წერილების ნაწილი გამოქვეყნდა „აისის" ფურცლებზე, ყველას დაბეჭდვა კი, ცხადია, შეუძლებელი იყო. ამ წერილებში ერთიც არ ყოფილა ისეთი, რომ თამაზის საქციელს იწონებდეს ან თუნდაც ამართლებდეს. ეს კია, რომ ზოგი თამაზის გაკიცხვას, მის დასჯას მოითხოვს, ზოგს კი ის მაინც კარგ ბიჭად მიაჩნია და მთავარ დამნაშავედ დედამისს თვლის.

მეც ვფიქრობ, რომ თამაზი ბუნებით ცუდი ბიჭი არ უნდა იყოს. ის უთუოდ ბეჯითიც არის და ნიჭიერიც, თორემ სულ ხუთებზე ვერ ისწავლიდა, ეს კი მოსწავლის დიდი ღირსებაა. მაგრამ თამაზი, როგორც ჩანს, დედის ჩაგონებითა და ხელშეწყობით, ყველაფერს თმობს სწავლის გულისთვის: თამაშსაც, მეგობრობასაც, პიონერულ საქმიანობასაც. მას ჰგონია, რომ ეს ყველაფერი ხელს შეუშლის სწავლაში. აი, ეს არის მისი შეცდომის თავი და თავი. სინამდვილეში კარგად სწავლა, კარგი პიონერული მუშაობა და კარგი ამხანაგობა ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, ერთი განუყოფელი მთლიანობაა. უვიცი და ზარმაცი, ცუდი მოსწავლე ვერ შესძლებს პიონერულ ორგანიზაციაში აქტიურ მუშაობას, ამავე დროს კარგად ორგანიზებული პიონერული საქმიანობა გვეხმარება ვიყოთ ინიციატივიანი, საზრიანი, დისციპლინირებული, გაბედული და ა. შ. უამისოდ კი კარგადაც ვერ ისწავლი.

კოლექტივიზმის, ერთმანეთის პატივისცემის, ურთიერთდახმარების, მეგობრობის გრძნობები ხომ მთელი ჩვენი საზოგადოების დამახასიათებელია და უამათოდ არც ჩვენი სკოლა შეიძლება წარმოვიდგინოთ და არც პიონერული ორგანიზაცია.

მე ვერც კი წარმომიდგენია, როგორ მოხდა, რომ თამაზმა ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ინახულა ავადმყოფი ამხანაგი. იქნებ სხვა დროსაც იყო მის სანახავად და სხვებმა არ იციან? ან იქნებ თვითონაც ავად იყო იმავე ხანებში? მაგრამ თუ თამაზი ცოტა ხანს მაინც ავადმყოფობდა, მას კარგად უნდა დაენახა, რას ნიშნავს ასეთ დროს ამხანაგის ყურადღება. მაშინ ალბათ ისიც სხვაგვარად მოიქცეოდა.

ერთი სიტყვით, თამაზს ვერც მე გავამართლებ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ის აწონ-დაწონის ყველაფერს, გაითვალისწინებს ამხანაგების საყვედურს და გამოასწორებს თავის უნებლიე შეცდომას, შესძლებს იყოს კარგი მოსწავლეც, მოწინავე პიონერიც და საუკეთესო ამხანაგიც.

პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე.

# ცოდნასთან ერთად შრომაც

ჭირვეული შემოდგომა დაუდგათ წელს ჩვენი სოფლის მხვნელ-მთესველებს.

ოქტომბრის თვის პირველ ნახევარში მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა. საგრძნობლად შეაფერხა სამუშაო მინდვრად. როგორც კი გამოიდარა, გურძემელ მესიმინდეებს გვერდში ამოვუდექით ნახურცილაოს საშუალო სკოლის პიონერ-კომკავშირელები. 130-160 მოსწავლე ყოველდღიურად გამოვდიოდით სიმინდის სატეხად, ამასთან ერთად დიდი მონდომებით ვამზადებდით პირუტყვისათვის უხეშ საკვებს.

ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ და პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩეოდნენ VII-X კლასის მოსწავლეები: მარინა ჯამბურია, ნანი ჩილაჩავა, გულადი, გიული და ლეონტი სიორდიები, მადონა მიშველაძე, მერაბ ნინუა, ლია ჯავახია, მაყვალა დგებუაძე, აზა და დოდო ხურცილავები, ლიანა აროსია, ნანა ხარებავა და სხვები.

ვმუშაობდით დიდი გულმოდგინებით, რითაც ჩვენი სოფლის მშრომელების მადლობა დავიმსახურეთ.

სკოლაში გამოდის საველე გაზეთი, სადაც შუქდება იმ მოსწავლეთა შრომითი საქმიანობა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ შრომაში.

მზია ჩილაჩავა,
ნახურცილაოს საშუალო სკოლის
IX კლასის მოსწავლე.

## ჩვენი შემოქმედება

### გამოცანები

1

თავ-პირი აქვს და მუცელიც,
ფეხებს ქება რად უნდა,
არც სჭამს, არც სვამს,
ხმასაც არ მცემს,
სიარულიც არ უნდა.

2

თუ წვიმს — ასწევ,
გარეთ გასწევ,
თუ არა და,
დაბლა დასწევ.

მორის ცხვირაშვილი,
სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## იუმორი

მას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი?

— გააღეთ კარი!
— მერე და ვინ ხართ?
— ის, ვისაც შეუძლია გააკეთოს ყველაფერი!
— თუ თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ყველაფერი, რატომ ვერ აღებთ კარს?

შავი კატა

— მამიკო, სასადილო ოთახში შავი კატაა.
— ნუ გეშინია, ჩემო ბიჭუნა, შავი კატები ბედნიერების მომტანნი არიან — იმ კატამ შენი საჭმელი შეჭამა.

თარგმნა მაია ამონაშვილმა,
თბილისის 57-ე საშუალო სკოლის
V კლასის მოსწავლე.

## ოცნება მე დღეს ამიხდა

ბევრჯერ ვყოფილვარ ზეიმზე,
ბევრიც მსმენია კარგი,
მაგრამ ყველაზე სასიხარულო,
დღე იყო დღეს და
რაკი
სუყველას აინტერესებს
რა დღეს ვზეიმობთ ახლა,
ეს ჩვენი პიონერთა რიგებში
შესვლის
საზეიმო დილა გახლავთ!

ლელა კაციაშვილი,
თბილისის მე-60 საშუალო სკოლის
V კლასის მოსწავლე.

სოფლის წისქვილი.
ბაბული ზარანდია.
ზუგდიდის რაიონის
სოფ. ურთა. 12 წლის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთელ ქვეყანას აუწყა

ერთმა წყარომ სოფელში
ამოხეთქა გზის პირას
და მზე რომ დაინახა,
სიხარულით იტირა.

ბუტბუტებდა: ,,სიკვდილს რომ
ვადავურჩი, არ მჯერა,
ნუთუ მართლა მეღირსა
სიხარულად გაჩენა.

თავდაღმართში დაქანდა
(თითქოს ფეხი დაუცდა),
დაბადება თავისი
მთელ ქვეყანას აუწყა.

გაგანია სიცხეა,
დედამიწა მხურვალებს,
წყარო ელის ჩიტებს და
ადამიანს მწყურვალეს.

# მშვიდობით, ბავშვობავ

მშვიდობით, თოჯინავ —
ცალყურა ფისო...
მშვიდობით, წარსულო —
ცისფერო ნისლო.

წავიდა, გაფრინდა
თხუთმეტი წელი
და ფრთებზე უბრწყინავს
თხუთმეტი ცრემლი.

თხუთმეტჯერ ამაღლდა
ოცნების ჭერი,
სხვებისთვის ცოტაა,
ჩემთვის კი ბევრი.

მშვიდობით, თოჯინავ —
ცალყურა ფისო.
მშვიდობით, ბავშვობავ —
ცისფერო ნისლო.

ირმა მეზურიშვილი,
თბილისის 62-ე საშუალო სკოლის
X კლასის მოსწავლე.




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №1

# ატმის ნერგი

შავი ღრუბლებიდან შემოდგომის მიმქრალმა მზემ გამოანათა, გაუღიმა ატმის პაწია ნერგს, ანუგეშა, გაათბო გათოშილი.

ამ დროს ქარმა დაუბერა, ნერგი წელში მოიღუნა, მოიბუზა, ქარმა ატმის ყვითელი ფოთლები გაზაფხულის ფრთახატულა პეპლებივით აფარფატა შემოდგომის გათოშილ ჰაერში და ჭრელ ხალიჩასავით მოაფინა დედამიწას.

ნერგი ჩაფიქრდა, იგი ხომ ამ ზაფხულს ეზიარა სიცოცხლეს. მაშინ პირველად დაინახა მზე, ყვავილები, ლურჯი, კამკამა ცა, გაიქროლა ზაფხულის დღეებმა, მიიძინეს ყვავილებმა, ჩიტუნებმაც მიივიწყეს პაწია უთვისტომო ატმის ნერგი.

სცივა, აკანკალებს პაწიას, მაგრამ გაუძლებს ცივ შემოდგომას, თოვლიან ზამთარს, გაზაფხულს ცოცხალი შეეგებება. კვლავ იკეკლუცებს, ვარდისფრად აყვავდება, მოინახულებენ ჩიტუნები, მის ტოტზე ტკბილად აქღურტულდებიან, იასაც ნახავს, ნაზ, მორცხვ ლურჯთვალება იას. გაძლებს, აუცილებლად გაძლებს მიტოვებული ატმის ნერგი. მანამდე კი... მზე მოეფერება, ერთადერთი შემორჩენილი მეგობარი, რომელსაც ნერგი არ მიუტოვებია და კვლავ უცინის ღრუბლებს იქიდან.

ნანა ჩიტიშვილი,
კასპის რაიონის, ოკამის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

# მზია სოფელში

ერთხელ ბებომ მზია სოფელში წაიყვანა. მზიას ჯერ არ ენახა სოფელი. მანქანის სარკმელი გაეღო, იცინოდა და ხელს უქნევდა მთებს, ტყეებს, პეპლებსა და ყვავილებს.

სანამ სოფელს მიუახლოვდებოდნენ, ბებიამ გადაწყვიტა მზია თავის დასთან, იქვე ახლოს მდებარე სოფელში ჩაეყვანა. მართლაც, მალე მანქანა ბებიის დის, ქრისტინეს სახლს მიადგა. ჭიშკართან ტლაპოში ღორი იწვა და ღრუტუნებდა. მზიას შეეშინდა და ბებიას მაგრად ჩასჭიდა ხელი. მზია ქათმებს მიუახლოვდა, ხელი შეყო და საბუდრიდან სამი კვერცხი ამოიღო. ის იყო, ბებიასთვის უნდა ეჩვენებინა, რომ ამ დროს ბებერმა კრუხმა გამოყო თავი, დაიკაკანა და მზიასკენ გაქანდა. მზია აღრიალდა. კვერცხები სულ გადაავიწყდა, ხელიდან გააგდო და ბებიასაკენ გაიქცა. საბედნიეროდ, წიწილების გამოჩეკის დრო იყო. დავარდნილი კვერცხები გატყდა, იქიდან პაწაწინა წიწილები გამოვიდნენ და კრუხისაკენ გასწიეს. მზიას გაეცინა, ერთხელ კიდევ შეხედა ბებერ კრუხს და სახლის კიბეს აუყვა.

თამუნია მალაზონია,
თბილისის 55-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავიაკონსტრუქტორის გზა

ანდრე კარბელაშვილი

ამას წინათ ბათუმიდან თბილისში თვითმფრინავით ვიმგზავრე. აეროდრომზე თვითმფრინავში რომ მოვთავსდი, წინა სავარძელში 12-13 წლის ბიჭუნა შევნიშნე. იგი ქალის გვერდით იჯდა და აქეთ-იქით გაფაციცებით იყურებოდა. ჯერ კაბინისაკენ მიმავალ მფრინავს გააყოლა მზერა, მერე მგზავრებს დაუწყო თვალიერება. ვიგრძენი — იგი პირველად იჯდა თვითმფრინავში.

როცა მანქანა მიწას მოსწყდა და ზღვას გადაევლო, ბიჭუნა მის გვერდით მჯდომ ქალს მიუბრუნდა:

— შეხედე, დედა, რა ლამაზად მოჩანს ზღვის სანაპირო. აი ქობულეთი, მე ხომ აქ ვისვენებდი შარშან ბანაკში.

— კი, ჩემო გია, ქობულეთია, მალე ალბათ ფოთს მივუახლოვდებით.

— ფოთს? რატომ, ჩვენ ხომ თბილისში მივფრინავთ?

— ფოთის შემდეგ თვითმფრინავი კურსს შეიცვლის თბილისის მიმართულებით.

— რა კარგი თვითმფრინავია! გარეგნულადაც ლამაზია და შიგნითაც კარგად არის მოწყობილი. თანაც როგორ მიფრინავს, ვერაფერს ვგრძნობ. ნეტა ვინ გამოიგონა?

დედამ ჯერ არაფერი უპასუხა, მაგრამ მერე უთხრა:

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ თვითმფრინავს „იაკ-19“ ჰქვია.

— რატომ აქვს ძრავები უკან მოთავსებული? ტუ-104 რომ იდგა ბათუმის აეროპორტში, მას ფრთებში ჰქონდა ძრავები.

დედას გაეცინა.

— ამაზე ალბათ მისი კონსტრუქტორი გიპასუხებდა, მე კი რა უნდა გითხრა. გაიზრდები და ყველაფერს გაიგებ.

გადავწყვიტე, საუბარში ჩავრეულიყავი, რადგან ამ პატარა ბიჭის სახით ცნობისმოყვარე თანამგზავრი ვიპოვე.

— გია, — ვუთხარი, — რაკი ასე გაინტერესებს, შემიძლია ზოგი რამ გითხრა ამ თვითმფრინავის შესახებ. ეს თვითმფრინავი გამოჩენილი საბჭოთა კონსტრუქტორის, სოციალისტური შრომის გმირის ალექსანდრე იაკოვლევის საკონსტრუქტორო ბიუროშია შექმნილი. იაკოვლევი სახელმწიფო პრემიის ხუთგზის ლაურეატია, გენერალ-პოლკოვნიკია...

და გიას ვუამბე ზოგიერთი ეპიზოდი ალექსანდრე იაკოვლევის ცხოვრებიდან.

●

1944 წელი იყო. ავიაკონსტრუქტორს ფრონტებიდან მიღებული წერილების დასტა შეუტანეს კაბინეტში. ერთმა წერილმა ძლიერ დააინტერესა. იწერებოდნენ მფრინავი-გამანადგურებლები პოლკოვნიკ ტატანაშვილის ნაწილიდან.

— „თვითმფრინავებით — „იაკ-9“ ვიბრძოდით დნეპრის, სოჟის, გომელის, რეჩიცასთვის და, როგორც წესი, უპირატესობას ვაღწევდით საჰაერო ბრძოლებში. მარტო ორნახევარი თვის განმავლობაში ჩამოვაგდეთ მოწინააღმდეგის 106 თვითმფრინავი“, — ატყობინებდნენ კონსტრუქტორს მფრინავები და დაწვრილებით მოუთხრობდნენ შემთხვევებს, როცა საბჭოთა გამანადგურებლები იმარჯვებდნენ მტერთან ბრძოლაში.

კონსტრუქტორი დაფიქრდა და კაბინეტში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. მას ახლა რატომღაც ბავშვობა გაახსენდა...

პატარა რომ იყო, მხატვრულმა ლიტერატურამ გაიტაცა. კარგად ახსოვს, დაბადების დღეს ორი წიგნი აჩუქეს — „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“ და ჯეკ ლონდონის „მოთხრობები“. მოეწონა წიგნების გმირები — ძლიერი, მამაცი, საზრიანი ადამიანები, რომლებსაც არ ეშინოდათ დაბრკოლებათა გადალახვისა.

ამ წიგნების შემდეგ საშამ გატაცებით წაიკითხა რ. კიპლინგის „მაუგლი“, სეტონ-ტომპსონის „მოთხრობები ცხოველებზე“, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“.

წიგნებიდან შეიტყო, რა მკაცრად ეპყრობოდნენ ესპანელი კოლონიზატორები ადგილობრივ ინდიელ მოსახლეობას, რატომ უწოდეს ამერიკას ესპანელი მოგზაურის ამერიგო ვესპუჩის და არა ქრისტეფორე კოლუმბის სახელი, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა ეს მატერიკი.

თერთმეტი წლის მომავალი ავიაკონსტრუქტორი ჟიულ ვერნის ნაწარმოებებს ეცნობოდა. სწორედ ამ დროს გაეღვიძა საშას ტექნიკისადმი სიყვარული.

ავიაკონსტრუქტორი იგონებს: „წიგნებმა გამიღვიძეს მძაფრი ინტერესი ტექნიკისადმი, მასწავლიდნენ ოცნებას, ფანტაზიას... მაგრამ წიგნები არა მარტო მასწავლიდნენ ოცნებას, ისინი მიხმობდნენ მოქმედებისაკენ — საყვარელი გმირები ხომ ახალს ქმნიდნენ, დაუღალავად შრომობდნენ და დასახული მიზნისაკენ მიისწრაფოდნენ. ძალზე ვცდილობდი გამეკეთებინა რაიმე ძნელი“.

ჭაბუკს სულ უფრო ებადებოდა სურვილი გამოეგონებინა ახალი მანქანა. როცა ბიძასთან ჩავიდა სტუმრად, ნახა რკინიგზის მშენებლობა. დაიწყო ორთქლმავლებისა და ვაგონების მოდელების დამზადება. ერთხანს რადიოტექნიკით დაინტერესდა.

ერთხელ მეგობარმა წიგნი ათხოვა: საინტერესოა, წაიკითხეო. ამ წიგნით გაეცნო იგი პლანერების მოდელების აღწერილობას, სქემებს.

„იქნებ მეც გავაკეთო მფრინავი პლანერი?“ — გაიფიქრა საშამ. მთელ თვეს იმუშავა და ორი მეტრი სიგრძის მოდელი გააკეთა. სკოლაში მიიტანა. პლანერი გაფრინდა. ყველა აღტაცებული იყო. მთელმა სკოლამ დაიწყო ლაპარაკი ავიამოდელებზე. „საავიაციო ავადმყოფობა“ მის ამხანაგებსაც გადაედოთ. გაკვეთილების შემდეგ სკოლაში რჩებოდნენ და მოდელებს აკეთებდნენ.

უკანასკნელ კლასში ყოფნისას საშამ ამხანაგებთან ერთად ავიამოდელისტთა წრე ჩამოაყალიბა.

მალე ნამდვილ თვითმფრინავებს გაეცნო. მიაგნო ადგილს, სადაც ძველი თვითმფრინავები იდგნენ. საშა თვითმფრინავში ძვრებოდა, ნაწილებს სინჯავდა, ეცნობოდა.

ბიჭებმა უფროსებს სთხოვეს ერთი ძველი თვითმფრინავი სკოლისათვის ეჩუქებინათ. უფრთო და უკუდო თვითმფრინავი სკოლაში დიდი ზეიმით მიიტანეს.

— ეს რა არის? — იკითხა სამეურნეო ნაწილის გამგემ.

— თვითმფრინავი, ნამდვილი მანქანა. ჩვენ უნდა აღვადგინოთ, — დაატრაბახეს ბიჭებმა.

სამეურნეო ნაწილის გამგემ ჯერ მათ გადახედა ეჭვით, მერე მანქანას. ახლოს მივიდა.

— თავი დაანებეთ ამ საქმეს და ახლავე მოაშორეთ ეს აქედან.

— რატომ? — გაიკვირვეს ბიჭებმა.

— იმიტომ, რომ შეიძლება აფეთქდეს.

ძლივს დაარწმუნეს, რომ დამტვრეული თვითმფრინავი არ აფეთქდებოდა.

მერე აეროდრომზე სიარული, გაფრენების თვალყურის დევნა, მფრინავების გაცნობა და მათთან საუბარი... ბოლოს, დიდი სურვილი — გამხდარიყო კონსტრუქტორი, მაგრამ როგორ?

გაზეთებში ხშირად წერდნენ ინჟინერ-კონსტრუქტორ პიროხოვშჩიკოვზე. საშამ გაბედა მასთან მისვლა. მოკლედ გაანდო თავისი ოცნება, თუმცა იმედი არ ჰქონდა, რომ ასე ცნობილი ადამიანი მას სერიოზულ ყურადღებას მიაქცევდა. მაგრამ მოხდა პირიქით...

საშამ დიდი პლანერის დამზადებას მოჰკიდა ხელი.

— დაანებე თავი პლანერს, სერიოზულ საქმეს მოჰკიდე ხელი, — უთხრა ერთ დღეს მამამ.

დედა გამოექომაგა:

— დაე, იმუშაოს, ეს არც ისე უბრალო ამბავია. იქნებ მომავალში მართლაც გახდეს ავიაციის ინჟინერი.

საშამ პლანერის დამზადების დროს სერგეი ილიუშინი გაიცნო, რომელიც უკვე ამ საქმის ნამდვილი სპეციალისტი იყო.

— იცი, რას გეტყვი, — უთხრა საუბრის დროს ილიუშინმა, — მარტო სურვილი როდი კმარა! უნდა გქონდეს ცოდნა, მხოლოდ მაშინ, შეიძლება შექმნა პლანერის სწორი კონსტრუქცია. შემიძლია შენს მაგივრად დავხაზო და ვიანგარიშო, მაგრამ ეს ნაკლებ სარგებლობას მოგიტანს.

ილიუშინმა ახალგაზრდას ლექციების ჩანაწერები მისცა, რომლებშიც სათანადო გაანგარიშებები და ფორმულები იყო, თანაც რამდენიმე წიგნი დაუსახელა.

პრაქტიკული გამოცდილება რომ მიეღო, საშამ მუშაობა დაიწყო საავიაციო სახელოსნოში ჯერ უბრალო მუშად, შემდეგ თვითმფრინავის მოტორისტად. პლანერი კი არა, ახლა ნამდვილი თვითმფრინავი უნდა ავაწყო, — ფიქრობდა. დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, მიზანს მიაღწია.

1927 წლის 12 მაისს ალექსანდრე იაკოვლევის კონსტრუქციის თვითმფრინავი აეროდრომზე იდგა. თვითმფრინავის გამოცდის სანახავად დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მფრინავი პიონტკოვსკი მანქანაში ჩაჯდა, მოტორი ამუშავდა. სტარტზე დროშა დაიქნიეს. მანქანა ადგილიდან დაიძრა და ჰაერში აიჭრა. რამდენიმე წრე გააკეთა აეროდრომის თავზე და მშვიდობიანად დაეშვა.

ყველა ულოცავდა გამარჯვებას. ეს იყო იაკოვლევის ყველაზე ბედნიერი დღე. ახალი ს[illegible] თვითმფრინავით მოეწყო [illegible]-კოვი-ხარკოვი-სევასტოპოლი-მოსკოვი. თვითმფრინავში მფრინავთან ერთად კონსტრუქტორიც იჯდა. ამ გადაფრენით დამყარდა ძირს დაუშვებელი ფრენის მსოფლიო რეკორდი. იაკოვლევი ფულადი პრემიითა და საპატიო სიგელით დააჯილდოეს.

მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ის იყო, რომ თვითმფრინავის კარგი კონსტრუქციისათვის საჰაერო ფლოტის აკადემიაში მიიღეს.

აკადემიაში პირველ კურსზე სწავლის დროს მან კიდევ ახალი თვითმფრინავი დაამზადა, ხოლო მეორე კურსზე რომ იყო, სხვა, უფრო ძლიერი თვითმფრინავი ააგო.

და აი, უკან დარჩა აკადემიაში ყოფნის წლები. საავიაციო ქარხანაში ალექსანდრე იაკოვლევი სულ ახალ-ახალ გაუმჯობესებულ თვითმფრინავებს ქმნის.

როცა გერმანელი ფაშისტები ჩვენს ქვეყანას ვერაგულად თავს დაესხნენ, ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში უკვე ამზადებდნენ იაკოვლევის ავიაგამანადგურებელს „იაკ-1“-ს. მალე დაიწყეს ორადგილიანი სასწავლო-სავარჯიშო გამანადგურებლის „იაკ-7“-ის გამოშვება. 1943 წელს სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეიარაღებაში მიიღეს „იაკ-9“ ტიპის გამანადგურებელი, რომელიც სამჯერ უფრო შორს მიფრინავდა, ვიდრე ჩვეულებრივი გამანადგურებელი.

ასეთი მანქანებით საბჭოთა მფრინავები ძირს დაუშვებლად გადაფრინდნენ იტალიაში, გადაიფრინეს რა გერმანელების მიერ ოკუპირებული რუმინეთი, ბულგარეთი და იუგოსლავია. თუმცა გერმანელებმა შენიშნეს თვითმფრინავები, მათ ვერაფერი გააწყეს ამ გადაფრენის ხელშესაშლელად — გამანადგურებლები დიდი სისწრაფით მიფრინავდნენ.

იმ ხანებში იტალიის ტერიტორიაზე მოკავშირეებმა გაათავისუფლეს სადგური ბარი. სწორედ ბარში დაეშვნენ გამანადგურებლები, რათა დახმარება გაეწიათ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისათვის, რომელსაც მარშალი ტიტო ხელმძღვანელობდა.

იაკოვლევი კვლავ დაძაბულად განაგრძობდა მუშაობას გამანადგურებლის სრულყოფასა და გაუმჯობესებაზე. მანქანებზე მისი წინადადებით ქვემეხები დაიდგა. უნდა გენახათ, როგორ იმსხვრეოდნენ ჰაერში ყუმბარისაგან ჰიტლერელთა მძიმე ბომბდამშენები. აი რატომ იყვნენ კმაყოფილი მფრინავი-გამანადგურებლები იაკოვლევის კონსტრუქციის ავიაგამანადგურებლებით და რატომ იღებდა იგი უამრავ წერილს ფრონტებიდან...

ერთხელ ავიაკონსტრუქტორს ავიაციის მთავარმა მარშალმა ნოვიკოვმა ტელეფონით დაურეკა, სთხოვა ახალი გამანადგურებელი მიეცა საბჭოთა კავშირის გმირ ლავრინენკოსათვის. მეორე დღეს იაკოვლევის კაბინეტში მორიდებით შევიდა ახალგაზრდა მფრინავი და მხედრულად მიესალმა კონსტრუქტორს. იგი უხერხულად გრძნობდა თავს საუბარში, ცოტას ლაპარაკობდა თავისთავზე.

ახალგაზრდამ გამანადგურებელი მიიღო და ფრონტზე გაფრინდა. ბრძოლის დროს მან მტრის გამანადგურებელი ჩამოაგდო, თვითონაც დაუზიანდა მანქანა და იძულებული გახდა პარაშუტით გადმომხტარიყო. იგი ტყვედ ჩაიგდეს გერმანელებმა.

— რისთვის იბრძვით? — ჰკითხა დაკითხვის დროს გერმანელმა ოფიცერმა.

— სამშობლოსათვის, — მაშინვე უპასუხა მფრინავმა.

— თქვენი აზრით ვინ გაიმარჯვებს?

— ჩვენ.

— რატომ ფიქრობთ ასე?

— მე კი არა, მთელი ხალხი ასე ფიქრობს.

იგი ბერლინში გაგზავნეს დაკითხვის გასაგრძელებლად. მატარებელში დრო იხელთა, გადახტა და ტყეს შეაფარა თავი. პარტიზანები გამოძებნა, მათთან ერთად დაიწყო ბრძოლა — ხიდების, გზების, ტრანსპორტის აფეთქება, სანამ წითელი არმიის ნაწილები მოვიდოდნენ.

ალექსანდრე იაკოვლევი თავის ძველ ნაცნობს კვლავ შეხვდა, ამჯერად უკვე მოსკოვში. მფრინავის მკერდს ოქროს მეორე ვარსკვლავი ამშვენებდა.

ომისშემდგომ წლებში იაკოვლევი რეაქტიულ თვითმფრინავებს ქმნის და ამასთან შვეულმფრენების კონსტრუქციებზე მუშაობს.

ძნელია ზუსტად ითქვას, რამდენი თვითმფრინავის კონსტრუქცია დაამუშავა ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ალექსანდრე იაკოვლევმა. და ყველაფერი ეს მან გააკეთა დაუღალავი შრომითა და ძიებით. მას არასოდეს აკმაყოფილებდა მიღწეული, არ აშინებდა დაბრკოლებები, სჯეროდა თავისი ამხანაგების, კოლექტივისა.

ალექსანდრე იაკოვლევი ამჟამად ახალი თვითმფრინავების კონსტრუქციებს საკონსტრუქტორო ბიუროსთან ერთად ქმნის. ახლა უკვე წარმოუდგენელია, რომ მხოლოდ ერთმა ადამიანმა დაამუშაოს თვითმფრინავის ძალზე რთული კონსტრუქცია, მისი აღჭურვილობა, აპარატურა.

•

თვითმფრინავი თბილისს უახლოვდებოდა. აი, მთაწმინდაზე ახალი სატელევიზიო ანძა გამოჩნდა. მასზე წითელი ნათურები ელვარებდნენ.

გია ძალზე კმაყოფილი ჩანდა მგზავრობით და იმითაც, რომ ზოგი რამ შეიტყო ამ თვითმფრინავის ავიაკონსტრუქტორზე. თუმცა ერთ მის კითხვაზე ჩვენ გიასთვის არაფერი გვითქვამს. მას ხომ აინტერესებდა, რატომ ჰქონდა ამ თვითმფრინავს ძრავები უკან მოთავსებული?

— გია, — შევეკითხე, როცა თვითმფრინავმა რუსთავის თავზე წრე შემოხაზა და დასაჯდომი ბილიკისაკენ აიღო გეზი, — თუ მიხვდი, რა მიზნით გაუკეთეს თვითმფრინავს ძრავები უკანა ნაწილში?

გიამ ეშმაკურად გაიღიმა.

— მივხვდი.

— მაინც?

— ჩემი აზრით, როცა თვითმფრინავს ძრავები უკან გაუკეთდა, ისინი ხმაურით აღარ აწუხებენ მგზავრებს.

რას იტყვით, მართალი იყო ჩემი პატარა თანამგზავრი?



ბჰიშამ საჰნი

მხატვარი
გიორგი
ქლიბაძე.

# მოგზაური ფერფლი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ბავშვებო, ჟურნალის გასული წლის მესამე ნომერში თქვენ გაეცანით ცნობილი თანამედროვე ინდოელი მწერლის ბჰიშამ საჰნის მოთხრობას „არაჩვეულებრივი ქალი“. ამჯერად გთავაზობთ იმავე მწერლის მეორე მოთხრობას — „მოგზაური ფერფლი“, რომელსაც მწერალმა საფუძვლად დაუდო ინდოეთის განსვენებული პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ანდერძი: გარდაცვალების შემდეგ დაეწვათ მისი ნეშტი, ნაწილი ფერფლი მდინარე განგაში ჩაეყარათ, ნაწილი კი ინდოეთის მიწაზე მოეფანტათ.

სოფელში მოსავლის აღება დაამთავრეს. გახარებული გლეხები მომღიმარე სახეებით შინ ბრუნდებოდნენ, რადგან უხვი მოსავალი მოიყვანეს. ბეღლები ხორბლით გაივსო. სახლებში დიასახლისების სიმღერა არ წყდებოდა.

კიდით-კიდემდე გადაშლილი ყანები თითქოს სუნთქავდნენ.

დაღამდა. ფანჯრის წინ ახალგაზრდა გლეხის ქალი მოჯადოებული იდგა და გარეთ რაღაცას დიდხანს უცქეროდა. აღტაცებულმა უცებ წამოიძახა: — ბებო, ხედავ, ყანა როგორ ბრწყინავს? ქალის ქმარი სწრაფად მივიდა ფანჯარასთან. ყანა ალაგ-ალაგ მართლაც ისე ციმციმებდა, თითქოს ოქროს მარცვლები მოეფანტულიყო.

— ნეტა რა ბრწყინავს? ნუთუ მართლა ოქროს მარცვლებია? — ცნობისმოყვარეობით გაიმეორა კითხვა ცოლმა.

— არა, ოქრო ასე არასოდეს არ ბრწყინავს, ეს ოქრო არ არის.

— მაშ რაღაა?

ქმარმა არაფერი უპასუხა, რადგან წინათ არასოდეს ენახა ყანაში რამეს ეციმციმა.

ოთახში ტახტზე ჩამომჯდარმა ბებიამ თქვა:

— ეს ოქრო არ არის, იგი გარდაცვლილი მეფის ფერფლია, ასე ბრწყინავს ხოლმე...

— მეფის ფერფლი? რას ამბობ, ბებია, როდის იყო, რომ ფერფლი ბრწყინავდა? — მე ახლავე შევაგროვებ მათ, — თქვა გლეხის ახალგაზრდა ცოლმა, და გარეთ გაიჭრა.

ყანის დასაწყისშივე გამოჩნდნენ მბზინავი მარცვლები. ახალგაზრდა ქალმა ჯერ შეშფოთებულმა დაუწყო მათ ცქერა, შემდეგ მოციმციმე მარცვლებისაკენ ხელი ფრთხილად წაიღო და მბზინავი ნამცეცი ხელისგულზე დაიდო. მბზინავმა ნამცეცმა მაშინვე ქრობა დაიწყო. გლეხის ქალის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. იგი ღრმად შეიჭრა ყანაში, სადაც უამრავი ასეთი ციმციმა მარცვალი მიმოფანტულიყო. ქალმა კვლავ აიღო მარცვალი და ხელისგულზე დაიდო, ციმციმა მარცვალმა, ისევ დაიწყო ნელ-ნელა ქრობა და თავის მომხიბვლელობაც დაკარგა. დაბნეულმა ქალმა აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. ყანაში მოფანტული მარცვლები ისევ ციმციმებდნენ.

ქალი გაიქცა და აიღო მესამე მბზინავი მარცვალი, მაგრამ ამ ციმციმასაც იგივე დაემართა, რაც მის მუჭში მომწყვდეულ ორ ჩამქრალ მარცვალს. მცირე ხნის შემდეგ ახალგაზრდა ქალი ღრმად ჩაფიქრებული დაბრუნდა შინ.

— ღმერთმანი, ბებო, თავიდანვე ძალიან ციმციმებდნენ ეს მარცვლები, — თქვა გულდაწყვეტილმა გლეხის ქალმა და ჩამქრალი მარცვლები უჩვენა მოხუცს.

— ვერ ხედავ, შვილო? ეს ოქრო არ არის, ეს მეფის ფერფლია, — გაუმეორა ბებიამ.

— რას ამბობ, ბებო, ფერფლი ასე როდის ციმციმებს? — ანდა რატომ ჩაქრა ნამცეცი, როგორც კი ხელისგულზე დავიდე. რომელი მეფის ფერფლია, ნეტა? — ჰკითხა ბებიას გაოცებულმა ახალგაზრდა ქალმა.

— ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა! — და მოხუცმა თხრობა დაიწყო:

ერთ ქალაქში ყმაწვილი ცხოვრობდა. იგი ძალიან ლამაზი და მამაცი იყო. ვაჟის მშობლებს მეტი შვილი არ ჰყავდათ. დედ-მამა ვაჟიშვილის ცქერით არ იღლებოდნენ, მათ შვილს ვერც ნათესავები აშორებდნენ თვალს. ყველანი ამაყობდნენ ბიჭუნათი. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და ამბობდნენ, როცა ბიჭუნა გაიზრდება, მშობლების გვარს ნათელს მოჰფენს, უსაზღვრო სახელსა და დიდებას მოიპოვებსო. მაგრამ როდესაც ბიჭუნა გაიზარდა, ერთ ღამეს სახლიდან ისე გაიპარა, არავისთვის არაფერი უთქვამს. დილით მშობლებმა შვილის საქციელი შეიტყვეს და შეშფოთებულები ვაჟის გზა-კვალის ძებნას შეუდგნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს და ბოლოს იპოვეს შვილი, რომელიც სოფელში ერთ ქოხთან იდგა.

— რას აკეთებ, შვილო აქ? — ჰკითხა აღელვებულმა დედამ. — მთელი დღე გეძებთ, შვილო.

ყმაწვილი მეტად გულწრფელი და პატიოსანი იყო. მისი გული კი ბროლივით წმინდა.

მან დედას შეხედა და თქვა:

— დედი, წუხელ დასაძინებლად რომ დავწექი, მომეჩვენა, თითქოს გარეთ ვიღაც ქვითინებდა, ავდექი, მაგრამ იქ არავინ იყო. ქვითინის ხმას გავყევი. იგი სულ უფრო ახლო და ახლო მესმოდა, თან არ წყდებოდა, ბოლოს მივხვდი, რომ ქვითინი ამ ქოხიდან მოისმოდა.

დედა შვილს ყურადღებით უსმენდა და ნაღვლიანად უცქეროდა.

— ახლა წამოდი, შვილო, მთელი დღე მშიერ-მწყურვალი დადიხარ.

— მე არ წამოვალ სახლში! — უპასუხა ვაჟმა.

— რატომ, შვილო?

— შინ როგორ წამოვიდე, როცა ქოხიდან ქვითინი მესმის, — გულწ-

რფელად უპასუხა დედას შვილმა და მამას შეხედა.

მამამ ვაჟის თვალებში ღრმა სევდა დაინახა. მან მეუღლეს მხარზე ხელი გადახვია და მშობლებმა შინისკენ იბრუნეს პირი.

— შენი შვილი დღეს შინ არ დაბრუნდება — თქვა მამამ.

— მაშ როდისღა დაბრუნდება? — ათრთოლებული ხმით იკითხა დედამ.

— უთუოდ აღარასოდეს. ის, ვინც ქოხიდან ქვითინს გაიგონებს, ის შინ აღარასოდეს ბრუნდება.

დედას თვალები ცრემლებით აევსო და ტირილი დაიწყო.

მამამ მართალი თქვა, სახლიდან გასული ყმაწვილი შინ არ დაბრუნებულა.

— მერე რა მოხდა? — ცნობისმოყვარეობით იკითხა გლეხმა და მისმა ახალგაზრდა ცოლმა, რომელსაც ხელისგულზე ყანაში მოგროვებული ჩამქრალი მარცვლები ედო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებიამ განაგრძო:

— მერე ყმაწვილმა ბევრი იხეტიალა თავის ქვეყანაში. სადაც კი მივიდა, ყველგან ესმოდა ქვითინი, ამბობდნენ, იმ დროს მის ქვეყანაში ძალაუფლება ტირანსა და ბოროტს ჩაევდო ხელში და ხალხს ძალიან ტანჯავდა. ყმაწვილი იმ რაზმებს შეუერთდა, რომლებიც ქვეყნის ტირანს ებრძოდნენ. მან ბრძოლაში მრავალი მეგობარი დაკარგა. ტირანი მებრძოლებს უტევდა და საპყრობილეში ამწყვდევდა, მაგრამ ყმაწვილს ქვითინი საპყრობილის სქელ კედლებიდანაც ესმოდა. როცა მან საპყრობილეს თავი დააღწია, კვლავ შეებრძოლა ქვეყნის ტირანს. ამასობაში მას დედ-მამა დაეხოცა. გარდაიცვალა ახალგაზრდა ცოლიც, მაგრამ იგი შინ მაინც არ დაბრუნდა...

ხალხმა ყმაწვილის გულში ჩაიხედა და მხურვალედ შეიყვარა იგი. როდესაც ყმაწვილი რომელიმე სოფელში ან ქალაქში გამოჩნდებოდა, ათასობით ხალხი ზეიმით ეგებებოდა, მის აზრსა და სიტყვას დიდი გულისყურით ისმენდა. ყმაწვილის ფეხის ხმაზე თითქოს იღვიძებდა ხალხი.

ბოლოს ტირანი დამარცხდა. ქვეყანა განთავისუფლდა. ხალხმა ყმაწვილი მეფედ გამოაცხადა. მეფის გული ყმაწვილს დაბადებიდანვე ჰქონდა, მაგრამ ახლა მას ქვეყნის მართვაც მიანდეს.

— მონობის ბორკილი გაწყვეტილია, მაგრამ ქოხიდან მაინც მესმის ქვითინი, — მიმართა მეფემ ხალხს და კვლავ გზას გაუდგა. გავიდა წლები, მეფე დაბერდა, მაგრამ სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში მაინც დადიოდა და ყოველგვარ სიბოროტეს ებრძოდა. ხალხის სიყვარულის, ნდობისა და იმის გამო, რომ ისინი მეფეს მუდამ თვალებში შეჰყურებდნენ, მეფის თვალები ციმციმებდნენ, სხეულს ძალა ემატებოდა და კვლავ განაგრძობდა ბრძოლას ბოროტების წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს დაძაბულობისაგან მეცე ღაიღალა და გარდაიცვალა.

ხალხმა ბევრი იგლოვა. ყველა ძალიან დაღონდა. ცა თითქოს დაბნელდა და ჩამოიქცა. ხალხს ეგონა, მეფემ სამუდამოდ მიგვატოვაო, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან ხალხს უსაზღვროდ უყვარდა თავისი მეფე, რომლის გულიც სამუდამოდ იყო დაკავშირებული მათთან. მეფე სიკვდილის შემდეგაც ხალხთან მოვიდა.

— გარდაცვლილი როდის ბრუნდება ამ ქვეყანაზე? — იკითხა გლეხის ქალმა.

ბებიამ ამოიხვნეშა და განაგრძო:

— სიკვდილის წინ მეფემ დაიბარა, — ჩემი ფერფლის ნახევარი სოფლის ყანებსა და ქოხებში მოფანტეთ, ხოლო დანარჩენი კი მდინარეზეო. ხალხიც ასე მოიქცა, როგორც მეფემ იანდერძა. თვითმფრინავმა მეფის ფერფლი ქვეყანაზე მოფანტა. როცა ქარმა დაუბერა, ფერფლმა ერთი ადგილიდან მეორეზე დაიწყო გადანაცვლება. შვილო, დღეს რომ ყანაში მოციმციმე მარცვლები ნახე, სუყველა მეფის ფერფლია.

— უწინ რომ არასოდეს მინახავს?

ბებია ცოტა ხანს დუმდა და მერე ხმადაბლა თქვა:

— დღეს ბედნიერი დღეა. როცა ჩვენს ქვეყანაში უხვი მოსავალია და ბედნიერება სუფევს, ფერფლი მხოლოდ მაშინ ციმციმებს. ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, მეფის ფერფლი იცინის, რადგან მეფე კმაყოფილია და უხარიაო.

— თუ ქვეყანაზე არ არის მშვიდობა? — იკითხა გლეხმა.

— მაშინ მოგზაური ფერფლი ადგილიდან ადგილს იცვლის. როცა ქვეყანაზე უბედურება და სიბნელეა, ან ქოხიდან ქვითინი ისმის და ქარიშხალი მძვინვარებს, მაშინ წუხს მეფის ფერფლი და ქუჩებში, გზებზე, შესახვევებში თითქოს ფაჩუნობს იგი, ან კიდევ შრიალით გარს ევლება ქოხებს. ხოლო ვისაც გულზე დარდი აწევს, ისინი გრძნობენ, როგორ უკაკუნებს მათ გულს ობოლი ფერფლი, რომელსაც თითქოს რაღაცის თქმა სურს. ხალხში იტყვიან ხოლმე, — მეფე წუხს, ვიდრე ქვეყანაზე ქვითინი არ შეწყდება, იგი ვერ მოისვენებსო.

შემდეგ ბებიამ ხელისგულები ერთიმეორეს მიადო და შვილიშვილს უთხრა:

— ინატრე მუდამ, შვილო, რომ მეფის ფერფლი ყოველთვის ციმციმებდეს, რომ ქვეყნად დიდი დოვლათი და ბედნიერება იყოს...

ბებია მთელ ღამეს ჰყვებოდა მეფისა და ფერფლის ამბავს. ახალგაზრდა გლეხის ქალი მოჯადოებული დასცქეროდა ფერფლს თავის ხელისგულზე, შემდეგ იგი დიდი პატივით შუბლზე წაიცხო.

ჰინდი ენიდან თარგმნა
**ნიკოლოზ კენჭოშვილმა.**



# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **შოთა ინწკირველი**

## პირველი ქართველი ოსტატი

ვიქტორ არსენის ძე გოგლიძე (1905-1964 წ.წ.) 1927 წელს თბილისის ჩემპიონი გახდა. ეს იყო მისი პირველი დიდი წარმატება. 1930 წელს მოიგო საკლასიფიკაციო მატჩი (+6—3=2) ოსტატ ვ. ნენაროკოვთან და ოსტატის წოდება მოიპოვა. წარმატებით ითამაშა მოსკოვის მეორე საერთაშორისო ტურნირში (1935 წ.). ამ ტურნირიდან აღსანიშნავია მისი საინტერესო ყაიმი მსოფლიოს ექსჩემპიონთან ხ. კაპაბლანკასთან.

### პროფილაქტიკა „ცუდი" კუ და სუსტი უჯრები

პროფილაქტიკის მცნება ჭადრაკში დიდოსტატმა არონ ნიმცოვიჩმა შემოიტანა. ნიმცოვიჩი პროფილაქტიკას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. თვით პროფილაქტიკას კი ასე განმარტავს: „პროფილაქტიკას ჩვენ ვუწოდებთ ზომების მიღებას, რათა აღკვეთოს ზოგიერთი მოვლენა არასასურველი პოზიციური თვალსაზრისით".

### პარტია № 1

ჩეხური დაცვა

(შლეხტერის ვარიანტი)

ეს სისტემა დახურულ დებიუტებს განეკუთვნება. დახურულ პოზიციაში კუ შეზღუდულია იმავე ფერის უჯრებზე ფიქსირებული თავისივე ბანაკის პაიკებით, საგრძნობლად გაუფასურებულია და ამიტომ ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე სხვა ფერის უჯრებზე მოქმედი კუ ან მხედარი; განსაკუთრებით — თუ ასეთი კუ თავისი შემზღუდველ პაიკთა ჯაჭვის უკან იმყოფება. ამ პარტიაში შავების თეთრუჯროვანი კუ შეზღუდულია d5—e6—f5 თეთრ უჯრებზე ფიქსირებულ პაიკთა ჯაჭვით. „ცუდი" კუს მთავარი ნაკლი იმდენად მისი შეზღუდული მოძრავუნარიანობა კი არ არის, რამდენადაც ის, რომ მას არ ძალუძს პაიკთა შორის საწინააღმდეგო ფერის უჯრებზე შექმნილი „ხვრელების" დაცვა-კონტროლი: ამ პარტიაში ერთი ფერის (შავი) უჯრათა მთელი კომპლექსისა — c5, d6, e7, e5, f6. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ შავი უჯრებიაო სუსტი.

ვ. გოგლიძის შემოქმედებიდან შევარჩიეთ პარტია, რომელიც პროფილაქტიკის, „ცუდი" კუს და სუსტი უჯრების გამოყენებაზე თამაშის ნათელი ნიმუშია.

თბილისი, 1930 წ.

თეთრები: ვ. გოგლიძე
შავები: ვ. ნენაროკოვი

**1. d4 მf6 2. მf3 g6 3. c4 კg7 4. მc3 d5.**

გრიუნფელდის დაცვა (იხ. „პიონერი" № 1 1975 წ.).

**5. e3 0—0 6. ლb3 e6 7. კd3 c6.**

სვლების გადაადგილებით შეიქმნა ჩეხური (სლავური) დაცვის (c6) შლეხტერის ვარიანტი (კg7).

**8. 0—0 მb—d7 9. კd2 მb6 10. მe5 მf—d7 11. მ:d7 მ:d7.**

გოგლიძის აზრით, უკეთესი იყო „11. ... dc 12. კ:c4 მ:c4 13. ლ:c4 ლ:d7, შემდეგ b6 და კb7. შავები ღებულობდნენ არცთუ ისე ცუდ პოზიციას ორი კუს უპირატესობით". შავების თეთრუჯროვანი კუს განვითარება ასეთ სისტემაში № 1 პრობლემაა.

**12. ეa—d1.**

პროფილაქტიკა. თეთრები აბრკოლებენ შავების გამანთავისუფლებელ მანევრს: dc და შემდეგ e5 ან c5.

**12. ... f5.**

საპასუხისმგებლო სვლაა. შავებს ჩაფიქრებული ჰქონიათ აქტიური მოქმედება მეფის ფრთაზე, მაგრამ 1. c8 კუ „ცუდი" ხდება; 2. სუსტდება e5 უჯრა.

**13. f4 მფh8 14. ლa3!**

ამ სვლით იწყება თეთრების გეგმა: 1. პაიკთა დაუყოვნებლივი შეტევა ლაზიერის ფრთაზე (ობიექტი — c6) და 2. თამაში შავ უჯრებზე.

**14. ... ეg8 15. b4 g5.**

„ეს „აქტუალური" სვლა იწვევს მოვლენათა ფორსირებას. უკეთესი იყო 15. ... b6 და კb7, რაც შავებს გაუადვილებდა ლაზიერის ფრთის დაცვას".

**16. cd!**

„მნიშვნელოვანი გაცვლაა. თეთრები ხსნიან „c" ხაზს თავისი ეტლებისათვის. შავებს არ შეუძლიათ e6 პაიკით აყვანა f5 პაიკის დაკარგვის გამო".

**16. ... cd 17. მe2 მf8 18. b5! მg6 19. კb4.**

„საწინააღმდეგო ფრთაზე შეტევის ტიპიური მაგალითია. შავებს არ შეუძლიათ ხელი შეუშალონ თეთრების შემდგომ გეგმაზომიერ დაწოლას ლაზიერის ფრთაზე". საქმე ის არის, რომ შავებისათვის არახელ-

საყრელია შავუჯროვანი კუს გაცვლა (კg7—f8), რადგან მსუბუქი ფიგურებიდან მათ დარჩებოდათ მხოლოდ „ცუდი“ კუ, რის გამოც ქრონიკულად დასუსტდებოდა შავი უჯრები და ამიტომ შავების პარტია სტრატეგიულად წაგებული იქნებოდა.

19. ... gf 20. მ:f4 მ:f4 21. ე:f4 კf6.

თუ 21. ... ლg5 (კ:d4! მუქარით), მაშინ 22. კe7 ლg6 23. ეf2 კd7 24. ლd6 კe8 25. ეc1 ან 21. ... კd7 22. ეc1 ეc8 23. ე:c8 ლ:c8 24. ეf2, ორივე შემთხვევაში „c“ ხაზის დაპყრობით.

22. ეc1 კd7 23. ეf2 ეc8 24. ე:c8 ლ:c8 25. კe7!!

პოზიციის ღრმა გაგება! ამ სვლით იწყება პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მთელი სერია. „თეთრებისათვის საჭიროა გაცვალონ შავების შავუჯროვანი კუ ან დაიპყრონ b8—h2 დიაგონალი f5—f4 გარღვევის თავიდან ასაცილებლად. საეჭვო იყო უცებ 25. ეc2 ლe8, ლაზიერის გადმოსროლით მეფის ფრთაზე. ლe8 შემდეგ კe7 მანევრი შეუძლებელი იყო“.

25. ... კg7.

შავები იძულებულნი არიან უკანდახევაზე დრო დაკარგონ და ეტლსაც გზა ჩაუკეტონ, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, შავუჯროვანი კუს გაცვლა შავებისათვის ცუდია. ეს კი კვეცავს მათ შესაძლებლობებს — არჩევანს. გავეცნოთ ორ ზედმიწევნით სასწავლო ვარიანტს, რომლებიც „კულისებში“ დარჩნენ, მაგრამ გავლენა იქონიეს პარტიის მსვლელობაზე: 25. ... კ:e7 26. ლ:e7 ლd8 27. ლd6 კc8 28. ლe5+ ეg7 29. ეc2 მფg8 30. ლb8 და თეთრები იგებენ. ან 27. ... ეg7 28. ლe5 ლg8 29. ეc2 კc8 30. ლf6!



პოზიცია ვარიანტიდან

შავები ცუგცვანგში არიან. როგორც პირველ ვარიანტში, ისე აქაც თვალნათლივ ჩანს „ცუდი“ კუს და შავი უჯრების სისუსტე, რამაც განაპირობა თეთრი ფიგურების გააქტიურება-გაძლიერება, ხოლო შავ ფიგურებს შორის კოორდინირებული მოქმედების დარღვევა და, ამდენად, მათი უმწეობა.

26. ეc2 ლe8 27. ლb4.

პროფილაქტიკა. ლაზიერი იცავს ორივე — b5 და d4 — პაიკს. (შავები იმუქრებოდნენ f5—f4 სვლით).

27. ... ლh5.

„კონტრთამაშის შექმნის თავზეხელაღებული ცდა. თუ 27. ... კf8 28. კ:f8 ლ:f8 29. ლ:f8 ე:f8 30. ეc7 კc8 31. a4“.



პოზიცია ვარიანტიდან

„შავები სრულიად უმწეონი არიან ხელი შეუშალონ თეთრი მეფის გადამწყვეტ შეჭრას შავი უჯრებით“. მიაქციეთ ყურადღება: საკმარისია გაიცვალოს შავუჯროვანი კუ, რომ შავები ერთბაშად კარგავენ წინააღმდეგობის უნარს.

28. ეc7!

„ლd1+ მუქარისაგან აქტიური დაცვა“.

28. ... ლh6 29. ლe1!

„მიუხედავად მოსაგები პოზიციისა, თეთრები ყურადღებით უნდა იყვნენ. თუ 29. ლd2? მაშინ კ: d4!“ ახლა თეთრი ლაზიერი ორივე ფრთას უწევს კონტროლს.

29. ... კe8 30. კd6.

პროფილაქტიკა! ალკვეთავს შავების ყოველგვარ ცდას: f5—f4 ან e6—e5 (იხ. კომენტარი თეთრების 25-ე სვლის შემდეგ). კუ კონტაქტს ამყარებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებთან: e5, f4. საყურადღებოა: თეთრები არ ჩქარობენ პაიკების აყვანას. (ისინი მაინც განწირულნი არიან!). აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ სტეინიცის ცნობილი თქმა: „მოგებული მდგომარეობის მოგება ყველაზე ძნელია“.

30. ... კf6 31. ე:b7 კh5.

„ცუდი“ კუ დაგვიანებით ებმება ბრძოლაში შავებს არ შეეძლოთ ეთამაშათ 31. ... კg5 „e3“ პაიკზე თავდასხმით, e5-ზე მომაკვდინებელი ქიშის გამო.

32. კf4 ლg6 33. კf1 კf3 34. ლg3!

დასასრულის დასაწყისი.

34. ... ლh5 35. ეb8! ე:b8 36. კ:b8 კe4 37. კe5.

„შავების შეტევა აორთქლდა, ისინი თანაც უპაიკოდ დარჩნენ“.

37. ... ლf7 38. კ:f6+ ლ:f6 39. ლb8+ მფg7 40. ლ:a7+ და შავები დანებდნენ, რადგან 40. ... მფg6 41. ლc7! შემდეგ პაიკი ლაზიერში გადის.

ეს პარტია პროფილაქტიკისა და შავუჯროვანი სტრატეგიის კლასიკური ნიმუშია.

# საინტერესო თემაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მირაჟები ანტარქტიდაში

ბევრს ჰგონია, რომ მირაჟები მხოლოდ უდაბნოსათვის არის დამახასიათებელი... მიიზლაზნება ქარავანი და დაღლილ, მწყურვალე, დასიცხულ ადამიანებს ტბის ლურჯი ზედაპირი და ამწვანებული პალმები ეჩვენებათ. მაგრამ ასეთი რამ მარტო უდაბნოში როდი ხდება.

ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ანტარქტიდაში, როდესაც გეოდეზისტი ადგილმდებარეობის გადაღებას აწარმოებდა, თეოდოლიტის ობიექტივში დაინახა, როგორ გაიყო ტრაქტორი ორად: ერთი ადგილზე იდგა, მეორე მის თავზე თავდაყირა ეკიდა. შემდეგ კიდევ ერთი წყვილი ტრაქტორი გაჩნდა ზემოთ. იმ დღეს ისეთი ამინდი იდგა, რომ 40 კილომეტრით დაშორებული ტრაქტორი დაინახეს.

...ორიოდე დღის შემდეგ მინუს 50°-იანი ტემპერატურის დროს ექსპედიციის წევრებმა ტბა იხილეს. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სიო ანანავებსო ტალღებს.

ანტარქტიდაში მირაჟი იგივე მიზეზით ხდება, რა მიზეზითაც უდაბნოში, ე. ი. ჰაერი, ტემპერატურის გავლენით ფენებად იყოფა.

ანტარქტიდაში ოპტიკური მოჩვენებები იშვიათი როდია. სანაპირო რაიონებში ხშირად დაუნახავთ ცადაზიდული აისბერგი როგორ იქცევა ხოლმე ბრტყელი ყინულის ლოდად, ხოლო წყლიდან ოდნავ ამოშვერილი ყინული ხშირად უშველებელ სვეტად აღიმართება. ხანდახან კი მზეს ან მთვარეს ვეებერთელა დიადემა ან ციური მნათობები არტყია ხოლმე გარს. ამ მოვლენას გალოს ეძახიან. ეს იმიტომ ხდება, რომ ჰაერში ყინულის უამრავი კრისტალები დასრიალებენ.





## დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა

ადამიანი ადის დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე, ეშვება ყველაზე ღრმა უფსკრულში, ცდილობს მიაღწიოს ოკეანის უღრმეს ადგილს. თითქოს გადაულახავი წინააღმდეგობა ხვდება ყველგან, მაგრამ ადამიანი უკან არ იხევს, სცდის ერთხელ, მეორედ, მეათედ და ადრე თუ გვიან მიაღწევს საწადელს.

შენს წინ არის 80 მეტრიანი დაბრკოლებათა ზოლი. ეს თითქმის ისეთი წინააღობებია, საბჭოთა მეომრებს სამამულო ომში იერიშის დროს რომ უხდებოდათ გადალახვა. ოღონდ, არ დაგავიწყდეს, მაშინ მტერი იყო წინ და ამდენად, ამოცანაც განუზომლად ძნელი.

მაშ ასე, ძახილზე: „წინ!“ უნდა წამოხტე (სტარტის წინ დაწოლილი ხარ) და 30 მეტრი გაირბინო. პირველი დაბრკოლება 15-20 სანტიმეტრი სიფართისა და 5 მეტრი სიგრძის დვირია, სწრაფად უნდა აირბინო მიდგმულ, დახრილ კიბეზე და სწრაფადვე გაირბინო დვირზე. დვირის




### ფსიქოლოგია პლაჟზე

ფრანგი ფსიქოლოგები დაინტერესდნენ დასავლეთ ევროპის პლაჟებზე მობანავეთა ქცევით. აი მათი დაკვირვების რამდენიმე შედეგი: ინგლისელები, როგორც წესი, სხვებთან შედარებით ზღვიდან უფრო მოშორებით, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ მოიკალათებენ ხოლმე. გფრ-ში მცხოვრებნი ყველაზე დიდხანს არიან წყალში, ფრანგები კი — პირიქით. სამაგიეროდ, ფრანგები სხვებზე ხშირად იცვლიან ტანისამოსს პლაჟზე. გფრ-ს მკვიდრთ სხვებთან შედარებით მეტი ტრანზისტორი მოაქვთ, ინგლისელებს — გაზეთები, ფრანგებს კი ძაღლები ახლავთ თან.

### ისუნთქეთ ლაყუჩებით

შეუძლია თუ არა ადამიანს ზღვაში ცხოვრება, შეუძლია თუ არა რამდენიმე კვირის ან თვეების განმავლობაში დაჰყოს წყალქვეშ, იკვებოს ზღვის დოვლათით ისე, რომ ხმელეთზე არ გადმოვიდეს?

იაპონური ჟურნალი „ტექნიკური ხელსაწყოები“ იუწყება „სალაყუჩე ხელსაწყოზე“ სამი წლის მუშაობის შედეგებს. ადამიანი ამ ხელსაწყოს თავზე რომ ჩამოიცვამს, თურმე შეუძლია, რამდენ ხანსაც უნდა, იმდენ ხანს დარჩეს წყალქვეშ.

ხელსაწყო მოქმედებს სუნთქვის რიტმის მიხედვით, „ართმევს“ წყალს საჭირო ჟანგბადს. შეწოვილი წყალი გაივლის სალაყუჩე საკანს, სადაც წყალში გახსნილი ჟანგბადის 70 პროცენტი წყალს გამოეყოფა და სასუნთქავ ჰაერად იქცევა.

### შოშიები გაფრინდნენ — შოშიები მოფრინდნენ

შოშიები იტალიაში ჯერ კიდევ III საუკუნეში გაქრნენ, დიდ ბრიტანეთსა და ბელგიაში კი XIX საუკუნეში; შვეციაში 1934 წელს 12 წყვილი შოშია იყო, მაგრამ 1954 წლიდან იქ აღარ დაუბუდებიათ. შვეიცარიაში 1900 წელს 15 წყვილი შოშია ითვლებოდა, 1950 წლის დამლევისთვის კი სრულიად გაქრნენ. იაპონიაში XIX საუკუნის მიწურულს ამ ფრინველთა მხოლოდ ერთი გუნდი იყო შემორჩენილი. ამჟამად 5-6 ბუდეებია, რომელთა უმეტესობაშიც ბარტყები არ იჩეკებიან. საინტერესო ის არის, რომ ამავე დროს შოშიების რიცხვი იზრდება გდრ-ში, პოლონეთში, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, საბერძნეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში.

### ლეგენდის დასასრული

ამას წინათ 70 წლის ასაკში ინფარქტით მოკვდა მთიანი მარსაბოტის (კენია) ბინადარი ლეგენდარული სპილო, სახელად ახმედი. კენიის პრეზიდენტის სპეციალური დეკრეტით, ახმედს გულმოდგინედ მეთვალყურეობდნენ. საქმე ის არის, რომ სპილოს ეშვები 6 ათას გირვანქა სტერლინგად იყო შეფასებული. მათი სიგრძე 8 მეტრს აღწევდა, თითოეულის წონა კი — 67 კილოგრამს, (ჩვეულებრივი ეშვის სიგრძე დაახლოებით 2 მეტრია, წონა კი 50 კილოგრამი).

### ელექტროდები ტკივილს აყუჩებს

როგორ უნდა გაუყუჩდეს ადამიანს ოპერაციისშემდგომი ტკივილი? — ეს პრობლემა მთელი მსოფლიოს ქირურგებს აღელვებთ. ამერიკელმა ექიმმა ალან ჰეიმსმა შეიმუშავა ასეთი მეთოდი: ავადმყოფის სხეულზე, ოპერაციის დროს გაკეთებულ ჭრილობასთან რაც შეიძლება ახლოს, მაგრდება ელექტროდები — ალუმინის ორი თხელი ფირფიტა. მათ ჯიბის ლიფლიფას სამი ბატარეიდან სუსტ ელექტროდენს აწოდებენ. თითქმის ყველა შემთხვევაში — ცდები კი 320 პაციენტზე ტარდებოდა — ავადმყოფს ტკივილი უყუჩდებოდა. ოღონდ ის კითხვა, რატომ იძლევა ელექტროსტიმულაცია ასეთ ეფექტს, ჯერჯერობით ამოუხსნელია.

ბოლოში კიბე აღარ დაგხვდება, ამიტომ 1,20 მეტრიდან ჩამოხტომა მოგიწევს, შემდეგ გაირბენ 15 მეტრს და ახლა წინ მეტრნახევარი სიმაღლის შვეული კედელი აღიმართება. მისი გადალახვა სხვადასხვაგვარად შეიძლება. ვარჯიშის დროს უნდა გამოიმუშაო შენთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალება.



ამის შემდეგ იწყება ხოხვით გადასალახავი დაბრკოლება (იხ. ნახატი). მათ ქვეშ ისე უნდა გაძვრე, რომ ზურგი არ შეახო. ამ დაბრკოლებას რომ გასცდები, „მტრის სანგარს“ ბურთი უნდა სტყორცნო, ახლა 15 მეტრის გარბენა და 1,5 მეტრი სიგანის ორმოზე გადახტომაა საჭირო. ამის შემდეგ ფინიშამდე 10 მეტრიღა რჩება და ეცადე, ეს მანძილი რაც შეიძლება სწრაფად და ენერგიულად გაირბინო.



განყოფილებას ხელმძღვანელობს
ლეილა ახობაძე

## ნუშის ტორტი

400 გრ ნუში;
400 გრ შაქრის ფხვნილი;
7 კვერცხის ცილა.
7 სუფრის კოვზი ფქვილი,

### კრემისათვის მასალა:

100 გრ შოკოლადი;
50 გრ კაკაო;
8 სუფრის კოვზი რძე;
4 კვერცხი;
200 გრ კარაქი;
1 ჭიქა შაქრის ფხვნილი;
ვანილი.

### მომზადების წესი

ნუში გაატარეთ საკეპ მანქანაში, აურიეთ შაქრის ფხვნილი, მიუმატეთ კვერცხის ათქვეფილი ცილა და ფქვილი. მოურიეთ ფრთხილად, ჩაასხით ჭურჭელში. ეს ჭურჭელი ჩადგით მდუღარეწყლიან ქვაბში, სადაც უნდა გაგრძელდეს წყლის დუღილი. ამ წყლის საშუალებით უნდა იდუღოს ნუშისა და კვერცხის ცილის ნაერთმა. ურიეთ მანამ, სანამ არ მიალებთ სქელ და თეთრ მასას. შემდეგ გადმოიღეთ, ბრტყელ ფორმაში ჩაფინეთ ცხიმწასმული პერგამენტი, დაასხით ეს მასა, გააბრტყელეთ, ზემოდანაც დააფარეთ ცხიმწასმული პერგამენტი და შედგით მაცივარში, მანამ, სანამ კარგად არ გაცივდება. შემდეგ გადმოიღეთ, გადაიტანეთ მრგვალ ფორმაში უკვე გამოსაცხობად, გააბრტყელეთ ერთი სანტიმეტრის სიმაღლეზე და შედგით ჰაერღუმელში საშუალო ცეცხლზე. როცა გაწითლდება, ჩააქრეთ ჰაერღუმელი, ნამცხვარი შიგ დატოვეთ გაცივებამდე, შემდეგ გამოიღეთ, ზემოდან წაუსვით კრემი და ისევ შედგით მაცივარში 7-8 საათით.

### კრემის მომზადება

გაადნეთ შოკოლადი, დაუმატეთ კაკაო და რძე, გააცხელეთ კარგად. კვერცხის გული, შაქრის ფხვნილი და ვანილი გათქვიფეთ ერთად, ასევე გათქვიფეთ გათეთრებამდე კარაქი. როცა შოკოლადი და რძე გაგრილდება, უმატებთ ქვემოთჩამოთვლილ მასას, ისე რომ ერთიმეორეში კარგად აირიოს, გათქვიფეთ კვერცხის ცილა და ფრთხილად შეურიეთ კრემს, შემდეგ თანაბრად წაუსვით გამომცხვარ ტორტს.

## ნამცხვარი „ზებრა“

5 ცალი კვერცხი;
250 გრ შაქრის ფხვნილი;
200 გრ მარგარინი;
ერთი ჩაის ჭიქა რძე;
2 სუფრის კოვზი კაკაო;
ვანილი, ძმარი ნახევარი სუფრის კოვზი სოდა;
$3^1/_2$ ჩაის ჭიქა ფქვილი.

### მომზადება:

აიღეთ 200 გრ მარგარინი, დააყარეთ 250 გრ შაქარი და ათქვიფეთ. დაუმატეთ 5 კვერცხის გული. ცილა ცალკე ათქვიფეთ. დაუმატეთ ვანილი. სოდა — ძმრით. ერთი ჩაის ჭიქა ადუღებული რძე დაასხით და ურიეთ განუწყვეტლივ. ცალკე გათქვეფილი ცილა დაუმატეთ რძიან მასას, თან ცოტ-ცოტა ფქვილი უმატეთ და ურიეთ. ეს მასა გაყავით ორ ნაწილად, ერთ ნაწილს დაუმატეთ კაკაოს ფხვნილი, მეორე ნაწილი იქნება თეთრი.

გაათბეთ წინასწარ ყალიბი, დაიწყეთ შიგ ცომის ჩასხმა შემდეგნაირად: ფორმის შუაგულზე ჩაასხით 2 კოვზი თეთრი ცომი, ზემოდან დაასხით 1 კოვზი ყავისფერი ცომი, ასე გაიმეორეთ სანამ ცომი არ გათავდება. შედგით ცხელ ჰაერღუმელში და გამოაცხეთ საშუალო ცეცხლზე.





ამასწინათ განყოფილებამ „საზრიანის ხელში“ გაგაცნო, თუ როგორ უნდა გამოიყენო ნახმარი საბურავი. ახლა კიდევ გთავაზობთ რამდენიმე რჩევას.

ერთმანეთზე დადგმული ორი საბურავი, შეშის ჩეხვისას შეგიძლია გამოიყენო.



ლაქიან ბოთლს თუ ასე შეინახავ, როგორც აქ არის ნაჩვენები, იგი არ გადმოპირქვავდება.

საბურავისაგან ასე გაკეთებული „ჩ ა ნ თ ა“, წვრილი ხელსაწყოების გადასატანად შეიძლება გამოიყენო.

პატარა წიწილებისათვის, საბურავი შეიძლება თავისებურ ვოლიერადაც გამოგადგეს.

საბურავზე დადებული ფიცარნაგი, საიმედო საიზოლაციო საშუალებაა ელექტროდენთან მუშაობისას.

საბურავი, ხელსაწყო იარაღების შესანახადაც შეგიძლია გამოიყენო.

საბურავის გადანაჭერით შეიძლება ველოსიპედის დამაგრება.

დაბოლოს, საბუქსირე ტროსი, საბურავის საშუალებით შეიძლება დრეკადი გახდეს.

ზოგიერთმა ჩანთამ გაწვალება იცის, საკეტი უმალ მოეშლება და წიგნებით გატენილი უადგილო ადგილას გაიხსნება. ადექი, ენაზე მავთულის პატარა ნაჭერი მიადუღე და ჩანთა თავისი ნებით აღარ გაიხსნება და არც წიგნები დაგიცვივდება ძირს.













## სარჩევი


შამფრიანი ს. — მოგვილოცნია (ლექსი) . . . . . . 1
სემაშკო ნ. — ლენინი — ადამიანი და ამხანაგი (ნაწყვეტი მოგონებიდან) . . . . . . . . . . 2
შამანაძე ნ. — ორჯონიკიძე ლენინთან (ლექსი) . . . . 4
ნორაკიძე ნ. — წინამძღოლობს ვიმპელი (ნარკვევი) . . . 5
მერაბიშვილი ე. — ტრამალი (მოთხრობა) . . . . 8
შენი უცხოელი თანატოლები . . . . . . 16
ქორქია რ. — რატომ დავწერე „მარილის აკვანში“ . . . 17
პაპუაშვილი გ. — უგემური (მოთხრობა) . . . . . 13
შვიდი ძმა — ზღაპარი (ფრანგულიდან თარგმნა გ. ლომიძემ) . . . . . . . . . . . . . 1?
ჭუმბურიძე ზ. — სწავლაც, შრომაც, მეგობრობაც (წერილი) 20
აისი . . . . . . . . . . . . . . 20
კარბელაშვილი ა. — ავიაკონსტრუქტორის გზა (ნარკვევი) 23
ბჰიშამ საჰნი — მოგზაური ფერფლი (მოთხრობა. ჰინდი ენიდან თარგმნა ნ. კენჭოშვილმა) . . . . . . . 26
მხედრიონი . . . . . . . . . . . . 28
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . 29
ყურადღება სტარტზე . . . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . . 30
გამოგადგება . . . . . . . . . . . 31
საზრიანის ხელში . . . . . . . . . . 32


გარეკანის პირველ გვერდზე „ზამთარი ბაკურიანში“, მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი.


საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/ -75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XII-75 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 4200. ტირ. 140.675. უე 02137.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.


 © „პიონერი“, 1975 წ.

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. მოხეტიალე პლანეტა; 2. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 3. ბუნებრივი ზონა; 4. სამყარო, ანუ? 7. ქიმიური ნივთიერება; 8. ფიზიკურად მოუქნელი, ანუ? 14. თვე; 15. „სამი მუშკეტერის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 16. მდინარე სსრკ-ში; 17. ნელი ქარი, ანუ? 20. მექსიკური კინოფილმი; 21. ღვინის დასაყენებელი ადგილი; 22. ჭადრაკის ფიგურა; 24. სითბოს რაოდენობის ერთეული; 26. სახელმწიფო ევროპაში; 27. ხილი.

**თარაზულად:** 5. იოდის შემადგენელი ნაწილი; 6. მოჩვენებითი წარმოსახვა; 9. მხატვრულ თვისებათა ერთობლიობა; 10. მაღალი წოდების პირი ინგლისში; 11. გარეული ცხოველი; 12. ერთი მომღერლის მიერ შესრულებული სიმღერა, ანუ? 13. ცელქი, ანუ? 14. ერთმმართველობის სახელმწიფოებრივი ფორმა; 18. საშენი მასალა; 19. მტაცებელი ფრინველი; 23. ყვავილი; 25. დედნის პირი; 27. სასმისი; 28. ქალის სახელი; 29. წარმატების შესაძლებლობა; 30. ბოსტნეული; 31. ფეხბურთის გუნდი ავსტრიაში; 32. ნახშირბადის სახეცვლილება.

მანანა ლორია,
სამტრედიის რ-ნის სოფელ ნოღის საშუალო სკოლის მოსწავლე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ღარიბი რაინდის ქალიშვილები

დიდი ხნის წინათ საფრანგეთში ცხოვრობდა ერთი ღარიბი რაინდი. ჰყავდა ორი ქალიშვილი — ელიზა და ჟანა.

ქალიშვილები მუდამ სიმართლეს ამბობდნენ, პირველ აპრილსაც კი. მხოლოდ წელიწადში ერთხელ შეეძლოთ მათ ტყუილის თქმა, ისიც მაშინ, თუ ვინმე ჰკითხავდათ: როდის ხართ დაბადებულიო. ერთხელ, ელიზას სტუმარმა ჰკითხა როდის არის შენი დაბადების დღეო.

— გუშინ იყო, — უპასუხა ელიზამ.

ამავე კითხვაზე ჟანამ უპასუხა: ხვალ იქნებაო.

მეორე დღეს სტუმარმა კვლავ დაუსვა ქალიშვილებს იგივე კითხვა.

— გუშინ იყოო, — გაისმა ელიზას პასუხი.

— ხვალ იქნებაო, — უპასუხა ამავე კითხვაზე ჟანამ.

სტუმარი ვერაფერს მიხვდა. იქნებ თქვენ მოიმარჯვოთ ქაღალდი და ფანქარი და თქვათ როდის დაიბადნენ ელიზა და ჟანა?

### შარადა

სამლარიანი საკრავის
სახელწოდება რაც არი,
შარადას გამოადგება
მისი საწყისი მარცვალი.
ორგულიანი ხელსაწყო
ბოლო ნაწილად
გჭირდება,
ცხრაბგერიანი სიტყვაა,
თავიდან ხუთი
სცილდება. —
მიწაზე დასკუპებული
ვერცხლივით
აციმციმდება.

ვარსკვლავებს და
ფიფქებს... —
რა ხე არის ყმაწვილებო;
გამოიცნოთ, იქნებ?!

### გამოცანები

ამ ზამთარში რომ
მოუხსამს
ნაირფერი ხილი:
ვაშლი, მსხალი,
ფორთოხალი,
კაკალი და თხილი;
ტოტებიც რომ
მოუქარგავს

•

საახალწლოდ ბებომ
ჯამით
მოიტანა თხილი.
ერთით მეტი ნახევარზე
ამოკრიფა ლილიმ.
დანარჩენის ნახევარზე
ერთი ცალით მეტი
წინსაფარის ჯიბეებში
ამოიწყო ქეთიმ.
დარჩენილის ნახევარზე
მეტი ერთი ცალით
სათითაოდ ამოიღო
პაწაწინა ლალიმ.
თურმე მერე ჯამში მარტო
ხუთი თხილი იდო,
სულ რამდენი ცალი იყო,
ვერ ამოხსნი ვითომ?!

შ. ამირანაშვილი.

### გამოცანები

ფრინველია, იმის
მოსვლას
ყველა ხვდება ხალისით,
მაღლა ჭერში გაიკეთა
კოხტა ბუდე ალიზის,
კუდით დააქვს
მაკრატელი,
ჭრა და კერვა არ იცის.

ერთი მეორეს კვალში
სდევს
შარაზე, მთების ძირას.
რაც უნდ ეცადოს, უკანა
ვერ დაეწევა წინას.

გ. შეთეკაური.

### პასუხი 1973 წლის № 12-ში მოთავსებულ კროსვორდზე

**შვეულად:** 1. ვიზა; 2. ქორი; 3. ხეიფი; 4. რიალი; 5. სენატი; 6. რიტმი; 7. ირისი; 8. იარუსი; 11. დრეზინა; 14. კავალერია; 15. ალიგატორი; 16. ფუნქცია; 18. კოხმოხი; 19. ატროფია; 29. აბსურდი; 33. იულია; 34. მეტრი; 36. პრიზი; 37. ლაპისი; 38. ხატირა; 39. იალტა; 42. ობერ; 43. ახლო.

**თარაზულად:** 5. სპირტი; 6. რეზერვი; 9. რინგი; 10. იურთა; 12. დისპერსია; 13. რემანი; 16. ფირმა; 17. ლოჯია; 20. კორნეტი; 21. კალიუმი; 22. კობზარი; 23. ესენცია; 25. ვენა; 26. ბუცი; 27. ესმა; 28. ერთი; 30. ალაში; 31. რეისი; 32. კილოგრამი; 35. მაისი; 36. პრიმა; 40. ისლამი; 41. რუტინა; 44. აზბესტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნორჩი დირიჟორი ზაზა მაღლაფერიძე, რკინიგზის I საშუალო სკოლის მოსწავლე.

გოგი მაღლაკელიძე ქსოვს მხატვრულ ხალიჩას. განათლების სამინისტროს სამხატვრო სკოლა.

